ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Alkhali Taoba

ოთხშაბათი, 22 ივნისი, 2016 №146 (7072) ფასი: 50 თეთრი

ნოდარ ჯავახიშვილი: „ვანო მერაბიშვილი სიცოცხლის ბოლომდე ციხეში უნდა იჯდეს“

გვ.3

22 ივნისიდან

ზურაბ ბატიაშვილი (დარუჯანაშვილი)

ტრაპიზონის იმპერიის დაარსება

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

„მერაბიშვილს გია კრიალაშვილის საქმეზე ბრალს წაუყენებენ“

ნიკოლოზ მჟავანაძე: „უჩა ნანუაშვილი ადამიანის უფლებებს არღვევს“

გვ.4

ვინ უთვალთვალებს „ახალ საქართველოს“

გვ.5

„უახლოეს მომავალში ჩვენ ყველა იმ ადამიანს გამოვააშკარავებთ, რომლებიც ჩვენზე აწარმოებენ თვალთვალს. სამწუხაროა, რომ „ქართული ოცნება“ ოპონენტებთან საბრძოლველად წინა ხელისუფლების მეთოდებს იყენებს“

ოთარ დანელია: „ევროკავშირიდან ქართულ თაფლზე საბოლოო რატიფიცირებას ველოდებით“

გვ.6

„ჩინეთში 44%-ით არის ღვინის ექსპორტი გაზრდილი“

პაატა ჯიბლაძე: „ნაციონალები საგელიტებს აამოქმედებენ“

„საარჩევნო უბანზე ძალადობისათვის კანონის გამკაცრებას მივესალმებით“

გვ.5

გვ.2

გიორგი ვაშაძე: „იუსტიციის სამინისტრო ხელს გვიშლის“

დიმიტრი ქუმსიშვილი: „490.000-მა ადამიანმა თავი დააღწია სიღატაკის ზღვარს“

გვ.3

ISSN 1987-9385

სუსის ანტიკორუფციულმა სააგენტომ დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე ერთი პირი დააკავა

გვ.3

გიორგი ვაშაძე: „იუსტიციის სამინისტრო ხელს გვიშლის“

ნონა ცაბაძე

ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში სამოქალაქო პლატფორმა „ახალი საქართველოს“ ლიდერი გიორგი ვაშაძე აფასებს.

– ბატონო გიორგი, თქვენ განცხადება გააკეთეთ, რომ ჭიანურდება თქვენი პარტიის დარეგისტრირება იუსტიციის სამინისტროში, რატომ, რა მიზეზით?

– ჩვენ უკვე ორი კვირაა შეტანილი გვაქვს განაცხადი რეგისტრაციაზე და ვითხოვთ, რომ რამე პრობლემა ხომ არ არის დოკუმენტში, ან რაიმე ხარვეზი ხომ არ არის და არაფერზე არ გვცემენ პასუხს. 8 ივნისს დაიწყო უკვე წინასაარჩევნო კამპანია და ჩვენც გვინდა, რომ თანაბარ პირობებში ვიყოთ სხვა პოლიტიკურ პარტიებთან.

– არა ხართ ოფიციალურად დარეგისტრირებული და ვერ იწყებთ წინასაარჩევნო კამპანიას?

– დიახ და აქედან გამომდინარე ჩვენი მოთხოვნა იყო, რომ დაჩქარდეს რეგისტრაციის პროცედურა. იქ არის გათვალისწინებული მაქსიმუმ ერთი თვის ვადა.

– ანუ იუსტიციის სამინისტროს კანონი არ დაურღვევია.

– კი, მაგრამ ეს არ უზღუდავს შესაძლებლობას იუსტიციის სამინისტროს, რომ ამაზე ადრე დაარეგისტრიროს და იქიდან გამომდინარე, რომ საარჩევნო კამპანია დაწყებულია, აბსოლუტურად ლოგიკურია, რომ დროულად დაარეგისტრიროს. თან ცალკე სამსახური არსებობს პარტიების რეგისტრაციაზე და მაქსიმუმ ორი-სამი პარტია იყოს სარეგისტრაციო განაცხადით, მეტი არა. ანუ თუ მოინდომებ, ამას ერთ დღეში გააკეთებ.

– იუსტიციის სამინისტრო ვადის გაწელვას ცდილობს?

– ვადის გაწელვას ცდილობს, არ გვეუბნება, ხარვეზი ხომ არ არის. არადა ვალდებულია გვითხრას, რაიმე ხარვეზი ხომ არ არის და შეიძლება ბოლო წუთში დაგვიწყოს ლაპარაკი, რომ აი, წერტილი ან მძიმე არ მომეწონა. ჩვენ კიდევ ერთხელ განცხადებით მივმართეთ როგორც თეა წულუკიანს, ასევე საჯარო რეესტრს, რომ მოგვცეს ინფორმაცია, ხომ არ არის რაიმე პრობლემა რეგისტრაციის პროცესში და როდის გვექნება სარეგისტრაციო საბუთები მზად.

– მიიღეთ პასუხი?

– ჯერჯერობით პასუხი არ მიგვიღია და ველოდებით, როდის მოგვაწვდიან ინფორმაციას.

– ფიქრობთ, რომ მიზანმიმართული პროცესია და ხელს გიშლიან?

– ეს გაჭიანურების პროცესი ხდება იმისთვის, რომ ხელი შეგვიშალონ, გვიან დავიწყოთ აქტიური მუშაობა. მათი მიზანია, რაც შეიძლება ნაკლებმა პოლიტიკურმა ძალამ შეძლოს აქტიური მონაწილეობა არჩევნებში.

– რამდენად თანაბარ პირობებში არიან პარტიები, ან რა დარღვევებზე შეიძლება საუბარი?

– დაუსჯელობის სინდრომი და წახალისება ძალადობის, რაც ხდება ზოგადად ქვეყანაში, არის ნომერი ერთი პრობლემა.

– კონკრეტულად რას გულისხმობთ?

– თუნდაც იგივე ჟურნალისტზე თავდასხმის ფაქტი აეროპორტში, ყველას თვალწინ და ამას რეაგირება არ მოჰყოლია. ამაზე შესაბამისი რეაგირებები უნდა იყოს, განსაკუთრებით წინასაარჩევნო გარემოში. ეს არის ძალიან სერიოზული პრობლემა და ამას სჭირდება კონკრეტული რეაგირებები ხელისუფლების მხრიდან. მაგრამ, როგორც წესი, ხელისუფლება ყოველთვის იგვიანებს, ან საერთოდ არ აკეთებს რეაგირებას ასეთ საკითხებზე.

პირიქით, მათი პოლიტიკოსები დაკავებულები არიან გაპრავებით ამ სიტუაციის. ეს არის დიდი საფრთხე, რომელიც ხელს უშლის ნორმალური, ლეგიტიმური არჩევნების ჩატარებას. დღეს სწორედ ეს არის მთავარი პრობლემა – თვალის დახუჭვა კანონდარღვევებზე.

– აქტიურად მიმდინარეობს საარჩევნო კანონმდებლობის განხილვა, საუბარია გერმანულ მოდელზე, რამდენად დარჩა დრო ცვლილებების? ნაჩქარევი გადაწყვეტილებები ხომ არ იქნება მიღებული?

– ხელისუფლებას გერმანულ მოდელზე წასვლა ეშინია, არ უნდა.

– რატომ, რისი ეშინია?

– ფიქრობენ, რომ ეს მოდელი უფრო კონკურენტუნარიანი იქნება და ასეთ პირობებში გაუჭირდება ხელისუფლების შენარჩუნება. დღევანდელი საარჩევნო კანონმდებლობა საზოგადოებრივ აზრს არ გამოხატავს.

– მისი ძირფესვიანი შეცვლა არჩევნებამდე მოესწრება?

– ნამდვილად ვერ მოესწრება. „ქართულმა ოცნებამ“ თავის დროზე უარი თქვა ამ ყველაფრის შეცვლაზე! ხვალ ან ზეგ ეს აუცილებლად უნდა განხორციელდეს და უნდა დაიწყოს ეს პროცესი. რაც შეეხება გერმანულ მოდელს, მე ვფიქრობ, რომ „ოცნება“ ამას არ დათანხმდება.

– პოლიტიკურ ბაზარზე ახალი მოთამაშეები გამოჩნდნენ, საუბარია, რომ მაღალი კონკურენცია იქნება. რამდენად ჯანსაღი იქნება ეს კონკურენცია?

– ჯანსაღი კონკურენცია დამოკიდებულია თანაბარ პირობებზე არჩევნებში. ჯერ სულ რაღაც ათი დღეა, რაც დაიწყო საარჩევნო მარათონი და უკვე გარკვეულ პრობლემებს ვხედავთ. თვითონ საარჩევნო კამპანია თითოეულ პოლიტიკურ ძალაზეა დამოკიდებული. ჩვენ არავის მივცემთ უფლებას, რომ ან ჩვენი ან სხვისი უფლებები დაარღვიოს ამ საარჩევნო პროცესში.

– დღეს ვიზალიბერალიზაცია ერთ-ერთი აქტუალური თემაა. გვესმის იმედის მომცემი განცხადებები, რას ნიშნავს ეს ყველაფერი? თან კი, თან არა?

– ეს ნიშნავს იმას, რომ, სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს დღეს გადაწყვეტილი ნათელი სურათი იმის, რომ მივიღებთ თუ არა ვიზალიბერალიზაციას უახლოეს მომავალში. „ქართული ოცნება“ ცდილობს, შექმნას ისეთი სურათი, რომ ყველაფერს აკეთებს. თუმცა ეს აქამდე უნდა მოენდომებინა და აქამდე უნდა გაეკეთებინა.

– მაინც რა უნდა გაეკეთებინა ისეთი, რაც არ გააკეთა?

– მათ შორის უნდა ესარგებლა იმ რესურსით, რაც ნიშნავს ფართო პოლიტიკური სპექტრის კონსენსუსს და საერთო სტრატეგიას ევროპაში მუშაობასთან დაკავშირებით, ვიზალიბერალიზაცია რომ მიგვეღო. თუმცა მათ ეს არ მოინდომეს და წავიდნენ სხვა გზით – ამას მარტო გავაკეთებთო.

ასევე მოისუსტებს ჩვენი დიპლომატიური კორპუსი და საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომელმაც უფრო აქტიურად უნდა იმუშაოს ვიზალიბერალიზაციაზე. არავის ეგონოს, რომ ეს მარტივი პროცესია. უნდა ყოფილიყო კონკრეტული გეგმა, როგორ მივდივართ ამ გადაწყვეტილებამდე. სამწუხაროდ, ეს გეგმა ჯერჯერობით არ არის.

– მოგვცემენ თუ არა ვიზალიბერალიზაციას?

– რადგანაც ვისმენთ ერთმანეთის გამომრიცხავ განცხადებებს ევროპული სახელმწიფოს ლიდერებისგან, ვფიქრობ, დიდი პრობლემაა, რომ ჩვენ ამ თვეში მივიღოთ საბოლოო დადებითი პასუხი. მაინც ყველაფერი დამოკიდებულია დღევანდელ ხელისუფლებაზე.

ბრიჯიტ ბრინკი: „მნიშვნელოვანია, წინასაარჩევნო პერიოდი იყოს ძალადობისგან თავისუფალი“

ჩვენ გამოვთქვამთ წუხილს რუსთავი 2-ის საქმესთან დაკავშირებით, – განაცხადა ევროპისა და ევრაზიის საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილემ ბრიჯიტ ბრინკმა საქართველო-აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის კომისიის დემოკრატიისა და მმართველობის სამუშაო ჯგუფის შეხვედრის შემდეგ და ამ კონტექსტში ხაზი გაუსვა საქართველოს ევროატლანტიკური ტრაექტორიის დამოკიდებულებას მედიის თავისუფლების როლზე.

– ჩვენი გზავნილი ნათელია – ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებებს. ამ კონტექსტში ოქტომბრის არჩევნები მნიშვნელოვანი იქნება. როგორც საქართველოს დიდი ხნის მეგობრები, ჩვენ ხაზს ვუსვამთ მნიშვნელობას იმისა, რომ წინასაარჩევნო პერიოდი იყოს ძალადობისგან თავისუფალი და მთავრობის პასუხისმგებლობას – უზრუნველყოს ეს შედეგი. ჩვენ, ასევე, ხაზი გავუსვით დამოუკიდებელი მართლმსაჯულების მნიშვნელობას და ვისაუბრეთ მართლმსაჯულების რეფორმის მესამე ტალღის განხორციელებაზე, – განაცხადა ბრიჯიტ ბრინკმა.

ამასთან, ბრიტიჯ ბრინკი მიესალმა პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის კონსტრუქციულ ტონს წინასაარჩევნო პერიოდში და მის მოწოდებას პოლიციისადმი, რომ უზრუნველყონ შესაბამისი წესრიგი.

ინტერპრესნიუსი

ალექსანდრე ჯეჯელავა: „აქტიურად ვმუშაობთ სკოლებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან, რომ არ მოხდეს მათი პოლიტიზება“

– ძალიან აქტიურად ვმუშაობთ სკოლებთან, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან, რომ არ მოხდეს მათი პოლიტიზება, მცდელობები არის, – განუცხადა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ ჟურნალისტებს.

განათლების მინისტრი გამოეხმაურა პრემიერის გუშინდელ განცხადებას პოლიტიკური ძალების მიმართ და მას ძალიან მნიშვნელოვანი ინიციატივა უწოდა.

– გასაგებია, რომ წინასაარჩევნო პირობებია და ბევრი მხრიდან იქნება სურვილი ჩვენი სკოლა და უმაღლესი სასწავლებლები პროცესში ჩაერთონ. ჩვენ ყველანაირად მოვუწოდებთ და ვცდილობთ, რომ ასე არ მოხდეს. პრემიერის ინიციატივას ცალსახად ვეთანხმებით, რადგან გვგონია ქართველებმა უნდა მოვახერხოთ არჩევნები მიმდინარეობდეს მშვიდად, საერთო ფასეულობებზე დაყრდნობით და არა დისკრედიტაციის ფონზე, მითუმეტეს, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, რა თქმა უნდა, დაუშვებელია, – აღნიშნა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

რაც შეეხება პოლიტიზების მცდელობებს, მინისტრის განმარტებით, ბოლო დროს ერთ სკოლაში ვიდეო მასალის ჩვენების და მეორე სკოლაში პოლიტიკური მოღვაწის ჩართვის შემთხვევა იყო. ჯეჯელავას განცხადებით, ეს წინასაარჩევნო პროცესში აბსოლუტურად დაუშვებელი ხერხებია.

– ჩვენ გვინდა, ყველას ვთხოვოთ, სკოლასა და ბავშვებს ნუ ჩართავენ ამ პროცესში, – აღნიშნა განათლების მინისტრმა.

რაც შეეხება ქალაქ რუსთავის მე-2 საჯარო სკოლაში ცოტა ხნის წინ მომხდარ ფაქტს, მინისტრის ინფორმაციით, მოკვლევის შედეგად დადასტურდა, რომ სკოლაში აჩვენეს ეროვნული საოჯახო კონგრესის კადრები, სადაც გამომსვლელის ფონზე 26 მაისის, 7 ნოემბრის, ასევე 9 აპრილის კადრები იყო.

ალექსანდრე ჯეჯელავა:

– ჩვენ ფსიქოლოგებთან ერთად ვმუშაობთ დავადგინოთ ასაკობრივ ჯგუფთან, მე-11 კლასელებისთვის რამდენად დასაშვები იყო მათთვის ამ კადრების ჩვენება და თუ აღმოჩნდა, რომ დასაშვები არ იყო, ამ შემთხვევაში რაღაც ზომებს აუცილებლად მივიღებთ. მე ვფიქრობ, ძალიან ცუდი აზრი იყო, რომ ვიღაცამ გადაწყვიტა სკოლაში ასეთი ვიდეოს ჩვენება. მეორე მხრივ, სამწუხაროდ, მედიაში იმდენ არასწორ რამეს ვაჩვენებთ ბავშვებს, მედიის მოვალეობაც ეს არის – ასახოს რეალობა, შესაბამისად, ამ ბავშვებს ასეთი რამეებიც აქვთ ნანახი და სხვაც. ჩვენ ყველამ ერთად უნდა შევეცადოთ, რომ გავუფრთხილდეთ ჩვენს შვილებს, რათა ისინი ჯანსაღი ფსიქიკის და ფასეულობების მატარებლები იყვნენ, – განაცხადა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

ინტერპრესნიუსი

მიხეილ ჯანელიძე: „ჯონ კერის საქართველოში ვიზიტის თარიღი განსაზღვრული არ არის“

საგარეო საქმეთა მინისტრ მიხეილ ჯანელიძის განცხადებით, ჯერჯერობით კონკრეტულად არ არის განსაზღვრული ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივან ჯონ კერის საქართველოში ვიზიტის თარიღი, – განუცხადა მიხეილ ჯანელიძემ ჟურნალისტებს.

როგორც ჯანელიძემ აღნიშნა, გუშინ ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა გაიმართა საქართველო-ამერიკას შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში დემოკრატიის სამუშაო ჯგუფთან, სადაც სხვა საკითხებთან ერთად ამ ვიზიტის შესახებაც ისაუბრეს.

მიხეილ ჯანელიძე:

– ჩვენ შევეხეთ იმ გამოხატულ სურვილს, რომელიც გამოითქვა სახელმწიფო მდივნის მხრიდან ჩემი აშშ-ში ვიზიტის ფარგლებში. ჯერ კონკრეტულად არ არის განსაზღვრული ვიზიტის ვადები, მაგრამ ვისაუბრეთ იმ სურვილზე, რომელიც დაფიქსირდა ჩემი ვიზიტის დროს.

გავრცელებული ინფორმაციით, ჯონ კერის ვიზიტი ივნისის დასაწყისში იგეგმებოდა.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge **E-mail:** axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

დიმიტრი ქუმსიშვილი: „490.000-მა ადამიანმა თავი დააღწია სიღატაკის ზღვარს“

ბიძინა ივანიშვილის ბიზნესმენებთან შეხვედრაზე, რომელიც 20 ივნისს გაიმართა, ეკონომიკის მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა საქართველოს ეკონომიკის პრობლემებზე ვრცლად ისაუბრა.

– 2015 წელი მძიმე წელი იყო როგორც ქვეყნისთვის, ისე რეგიონისთვის. ამის მიუხედავად, ის 2.8%-იანი ზრდით დავასრულეთ. ჩვენს ძირითად სავაჭრო პარტნიორებში იყო ეკონომიკის უარყოფითი ზრდა და, შესაბამისად, აღნიშნული შედეგი ჩვენთვის მიღწევაა, – განაცხადა პირველმა ვიცეპრემიერმა.

მან აღნიშნა, რომ გვქონდა ინფლაციური წნეხი, რაც დარტყმა იყო ეკონომიკისთვის. დეკემბერში ეს წნეხი შემცირდა და ამიტომ გვაქვს მიმდინარე წლის პირველ კვარტალში კარგი შედეგი. პარალელურად, 2015 წელი გამოირჩეოდა დასაქმების მინიმალური მაჩვენებლით.

– 2012 წელს გვქონდა 15%-იანი უმუშევრობა, 2015 წელი კი დავხურეთ 12%-იანი უმუშევრობით. რაც უმუშევართა ნაწილში 240 ათასი ადამიანია. ხელფასებს რაც შეეხება, რეალური ხელფასის ზრდა გვაქვს როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორში, – აღნიშნა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

მისი თქმით, მოხდა იმპორტის და ექსპორტის კორექცია, გვქონდა ტურიზმის კარგი მაჩვენებელი, რის გამოც 140 მილიონი დოლარით მეტი შემოვიდა.

– შარშან მილიარდ 351 მილიონი სუფთა უცხოური ინვესტიცია განხორციელდა. მიმდინარე წელს, პირველი კვარტლის მონაცემით, 4.3%-ია ეკონომიკური ზრდა, რაც ძალიან კარგი შედეგია. სახელმწიფო ბიუჯეტი 3%-იან ზრდაზე გვაქვს დაგეგმილი, მაგრამ ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია მეტს პროგნოზირებს და ვიმედოვნებთ, რომ ამ პროგნოზს გავამართლებთ, – განაცხადა ბ-მა ქუმსიშვილმა.

ეკონომიკის მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ ინფლაციის მაჩვენებელი მწყობრში ჩადგა და ეს ციფრებში მაისში – 2.1%, აპრილში კი 3.1% იყო.

– ეს მეტყველებს იმაზე, რომ ეკონომიკა გაჯანსაღების პროცესშია. მარტიდან 13%-ით პროცენტით გამყარდა ლარი, – აღნიშნა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

ეკონომიკის მინისტრი დასაქმების პრობლემასაც შეეხო.

მან განაცხადა, რომ ამ მიმართულებით ბიზნესს აქვს თავისუფლება და განვითარების ყველანაირი შესაძლებლობა.

– 2012 წლიდან მოყოლებული 435.000 ადამიანი იყო ბიზნესსექტორში დასაქმებული, დღეს 577.000-ა და 2016 წელს კიდევ 32.000 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა. ფულადი გზავნილები უცხოეთიდან ასევე დასტაბილურდა და მცირე, მაგრამ მაინც ზრდა დაფიქსირდა ამ მიმართულებით. პირველ კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიცია 376 მილიონი დოლარი იყო. ეს არის 2008 წლის შემდეგ ყველაზე დიდი მაჩვენებელი საქართველოში, – აღნიშნა ეკონომიკის მინისტრმა.

იმის მიუხედავად, რომ წელს არჩევნების წელია, არ შეჩერებულა არცერთი პროექტი, ანუ ბიზნესი არ არის დაპაუზებული. შესაბამისად, ეკონომიკაზე არ არის წნეხი და ამან შესაძლებლობა მისცა ეროვნულ ბანკს, შეეძინა 112 მილიონი დოლარი და შეევსო სავალუტო რეზერვები.

– ასეთი რამ ბოლო დროს არ მომხდარა. ის ნასესხები სახსრებით ივსებდა უცხოური ვალუტის მარაგს, ახლა კი შიდა ბაზარზე შეიძინა, – ხაზი გაუსვა პირველმა ვიცე-პრემიერმა.

დღეის მონაცემებით, მილიონ 780 ათასი ადამიანია დასაქმებული, საიდანაც 753.000 არის დაქირავებული და მილიონზე მეტი არის თვითდასაქმებული. სტატისტიკის დეპარტამენტი არ ითვლის თვითდასაქმებული ადამიანების შემოსავალს. ეს კი ხელს გვიშლის გავიგოთ, თვითდასაქმებული ადამიანები გამომუშავებენ თუ არა საარსებო მინიმუმს.

– 2015 წელს დასაქმება გაგვეზარდა 24.000 ადამიანით და შეგვიმცირდა თვითდასაქმებულთა რაოდენობა 28.000-ით ანუ ისინი გადავიდნენ დაქირავებულ დასაქმებაზე, შესაბამისად, უკვე ზუსტად ვიცით, რომ მათ აქვთ საარსებო მინიმუმზე მეტი შემოსავალი, – აღნიშნა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

ეკონომიკის მინისტრი ბიუროკრატიის პრობლემასაც შეეხო.

– ჩვენ ვებრძვით ბიუროკრატიის ზრდას. იმის მიუხედავად, რომ ოპონენტები ხშირად ამბობენ, თითქოს სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა, რეალობა სხვაგვარია. 2010-12 წლებში სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა იყო 16.5%, ახლა კი ეს ციფრი 14.3-ზე ჩამოვიდა, – განაცხადა ბ-მა ქუმსიშვილმა.

2010 წელს სიღატაკის ზღვარს მიღმა იყო 2 მილიონ 85 ათასი ისეთი ადამიანი, რომელიც დღეში საკუთარ თავს 2.5 დოლარზე მეტს ვერ ახარჯავდა.

2011 წელს ეს ციფრი 2 მილიონ 11 ათასამდე შემცირდა, 2012 წელს კი 1 მილიონ 934 ათასი გახდა.

2012 წელთან შედარებით, 490 ათასმა ადამიანმა თავი დააღწია იმ ზღვარს, რასაც სიღატაკე ჰქვია.

– ეს არ არის ჩვენი კვლევა, ეს არის მსოფლიო ბანკის კვლევა. ამას მსოფლიო ბანკმა დაარქვა უკიდურესი სიღატაკე. მთავარი, რამაც ეს ციფრი შეამცირა, იყო ეკონომიკური აქტივობა. სწორედ ეკონომიკურმა პოლიტიკამ და სწორად გადანაწილებულმა დოვლათმა შექმნა ის სიტუაცია, როცა 490 ათასმა ადამიანმა თავი დააღწია შიმშილს. მართალია, ეს არ არის საამაყო, რადგან ჩვენ რეალურად გვყავს 1.5 მილიონი ადამიანი, რომელიც დღეში საკუთარ თავზე 2.5 დოლარსაც ვერ ხარჯავს, მაგრამ ამ მიმართულებით, წინა წლებთან შედარებით, წინსვლა აშკარაა, – აღნიშნა ეკონომიკის მინისტრმა.

მან სახელმწიფო კორუფციაზეც ისაუბრა.

– 2015 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ანუ დაძაბული პოლიტიკური ვითარების ფონზე ჩატარდა კვლევა, რომელმაც აჩვენა, რომ კორუფციის მოლოდინი არის 0.3%, ანუ პრაქტიკულად გამოკითხულთა შორის ერთნახევარმა ადამიანმა თქვა, რომ კორუფცია არსებობს, რაც უდიდესი მიღწევაა. მინდა შეგახსენოთ, რომ ეს კვლევაც საერთაშორისოა და არ არის ჩვენი ჩატარებული, – განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

* * *

ბიზნესმენებთან შეხვედრა ინვესტორთა საბჭოს ერთგვარი პრეზენტაციაც გამოდგა.

– ინვესტორთა საბჭო წარმოადგენს ყოველი თქვენგანისგან შემდგარ ორგანიზაციას, რომელიც ახლახანს ჩამოყალიბდა. მისი დამფუძნებლები არიან 5 ყველაზე მსხვილი ბიზნესასოციაცია, სახელმწიფოს ეკონომიკური ბლოკი და 3 საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი (ევრობანკი, აზიის განვითარების ბანკი და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაცია), – განაცხადა ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს ხელმძღვანელმა მარიამ მეღვინეთუხუცესმა.

მან ერთ-ერთ მთავარ საკითხად საკუთრების ფუნდამენტური უფლების დაცვა გამოკვეთა.

– წინა წლებთან შედარებით, სიტუაცია ბევრად უფრო გაუმჯობესებულია, – აღნიშნა ქ-მა მეღვინეთუხუცესმა.

მაგალითად, 2015/16 წლების გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშში საქართველო 58-ე ადგილზეა კერძო საკუთრების მდგომარეობით, მაშინ, როცა 2012 წელს 130-ე ადგილზე იყო. ამ მონაცემებით ევროკავშირის წევრ რამდენიმე ქვეყანასაც კი ვუსწრებთ.

– მექანიზმი, რითაც ეს მივაღწიეთ, იყო პოლიტიკური ნება. დღეს აუცილებელია, რომ ეს პოლიტიკური ნება იყოს გადათარგმნილი ამ გადაწყვეტილებების ინსტიტუციონალიზაციაში. ეს ნიშნავს პირველადი და მეორადი კანონმდებლობის ცვლილებებს საგადასახადო ადმინისტრირების პლანში და ა.შ. მაგალითად, საგადასახადო შემოწმების უფლება დღეს მხოლოდ საგადასახადო ორგანოს აქვს, რაც ყველა ბიზნესმენისთვის უმნიშვნელოვანესია, – განაცხადა მარიამ მეღვინეთუხუცესმა.

მისი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ეს მიღწევები არ იყოს დამოკიდებული მხოლოდ ხელისუფლების კეთილ ნებაზე.

* * *

შეხვედრის შემდეგ ბიზნესმენებმა განაცხადეს, რომ სახელმწიფო მათ უსმენს და, რაც მთავარია, მათ რეკომენდაციებს ითვალისწინებს.

ნოდარ ჯავახიშვილი: „ვანო მერაბიშვილი სიცოცხლის ბოლომდე ციხეში უნდა იჯდეს“

– ვანო მერაბიშვილი სიცოცხლის ბოლომდე უნდა იჯდეს ციხეში, – განუცხადა ჟურნალისტებს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ნოდარ ჯავახიშვილმა, როდესაც უპასუხა კითხვას, რომ მთავარმა პროკურატურამ ვანო მერაბიშვილის საკნიდან შესაძლო გაყვანის ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

კითხვაზე, ყოფილი პრემიერის ბიძინა ივანიშვილის გუშინდელი განცხადების შემდეგ პროკურატურის მიერ გამოძიების დაწყება ხომ არ მიუთითებს არაფორმალურ მმართველობაზე, ნოდარ ჯავახიშვილმა განაცხადა, რომ ეს არ მიუთითებს არაფორმალურ მმართველობაზე და ყოველთვის შეიძლება, რაღაცა რაღაცას დაემთხვეს.

"– როგორ გგონიათ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი იმით უნდა იყოს დაკავებული, ვინმე ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ გამოძიება დაიწყება თუ არა?

– როგორც მინისტრი, ისე არ გეტყვით, მაგრამ ვანო მერაბიშვილი სიცოცხლის ბოლომდე უნდა იჯდეს ციხეში. ვანო მერაბიშვილი ციხეში იჯდება თუ არა, ეს არც არაფორმალურ მმართველობაზე მიუთითებს და არც ადამიანის უფლებების დარღვევაზე. ვანო მერაბიშვილი გარეთ რომ იყო, მაშინ იყო ყველას უფლებები დარღვეული. მის გვერდით უნდა იჯდეს არაერთი მისი ძმა და მეგობარი, – განაცხადა ჯავახიშვილმა.

ინტერპრესნიუსი

დევნილთა და განსახლების სამინისტრო: „ბინების განაწილება ხდება კომისიურად, ღიად და გამჭვირვალედ“

დევნილთა და განსახლების სამინისტრო თანამშრომლის დაკავებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. როგორც დევნილთა და განსახლების სამინისტროს განცხადებაშია აღნიშნული, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციულმა სააგენტომ დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს თანამშრომლის დაკავების შესახებ ინფორმაცია გაავრცელა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა აფხაზეთიდან დევნილ მოქალაქეს, სამინისტროსგან ბინის მიღებაში დახმარების სანაცვლოდ მოსთხოვა და გამოართვა 7.000 აშშ დოლარი. გამოძიება დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს. გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

უწყების ინფორმაციით, 2012 წლიდან დღემდე თაღლითობის ფაქტზე სამინისტროს 2 თანამშრომელია დაკავებული, ხოლო ფინანსური მაქინაციების ბრალდებით 4 თანამშრომელი, რომელთა საქმეები გადაგზავნილია პროკურატურაში და მიმდინარეობს ძიება.

სამინისტროს ცნობით, ყველა ზემოაღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობდა სამართალდამცავ სტრუქტურებთან, გარდა უკანასკნელი შემთხვევისა. აღნიშნული ფაქტი, სამინისტროსთვის მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა სამინისტროს თანამშრომელი დააკავა.

– აქვე კიდევ მივმართავთ დევნილ მოსახლეობასა და საზოგადოებას – არ დაუჯეროთ მსგავს შემოთავაზებას. ბინების განაწილება ხდება კომისიურად, ღიად და გამჭვირვალედ. ყოველი ასეთი ფაქტი გამოაშკარავდება. მოვუწოდებთ დევნილებს, რომ მსგავსი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში მიმართონ სამართალდამცავ სტრუქტურებს ან სამინისტროს. ანონიმურობა დაცული იქნება, – ნათქვამია განცხადებაში.

სუსის ანტიკორუფციულმა სააგენტომ დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე ერთი პირი დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს თანამშრომელი თეკლა ხ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ თეკლა ხ-მ აფხაზეთიდან დევნილ მოქალაქეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსგან ბინის მიღებაში დახმარების სანაცვლოდ მოსთხოვა და გამოართვა 7000 აშშ დოლარი.

გამოძიება დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით 7-დან 11 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს). გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

შორენა მარსაგიშვილი

„მერაბიშვილს გია კრიალაშვილის საქმეზე ბრალს წაუყენებენ“

ნიკოლოზ მჟავანაძე: „უჩა ნანუაშვილი ადამიანის უფლებებს არღვევს“

ჰატომ აჰ უნდა თქვას უაჰი საქაჰთველომ სამაჰთლიანობის აღდგენაზე, აჰის თუ აჰა წახალისებული პოლიტიკუჰი ჰოსტიტუცია, ჰატომ აჰ უნდა ეჰქვას უჩა ნანუაშვილს სახალხო დამცველი? – ამ თემებზე „ახალ თაობას" უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე ესაუბრება.

ნიკოლოზ მჟავანაძე:

– ნაციონალები ქვეყნის წინააღმდეგ ამზადებენ სერიოზულ პროვოკაციას. ამ მხრივ ნამდვილად დროული იყო გიორგი კვირიკაშვილის ინიციატივა. მან მიმართა პოლიტიკურ პარტიებს, რომ ადგილი არ ჰქონდეს სიძულვილის ენაზე საუბარს და ძალადობას. რასაც დღეს ნაციონალური მოძრაობა კადრულობს, ეს არა მარტო ხელისუფლებაზე თავდასხმაა, არამედ მთელ ქვეყანას ესხმიან თავს. ახლა რუსთავი 2-თან დაკავშირებით მომხდარი ბოლო ინციდენტის შეფუთვას ცდილობენ. უნდათ ევროსაბჭოს რაღაც რეზოლუცია მიაღებინონ და ამით ქვეყანას შეუქმნან პრობლემები.

– აეროპორტში რუსთავი 2-ის გადამღები ჯგუფი რომ გალახეს, ამ ინციდენტზე საუბრობთ?

– რუსთავი 2-ის გადამღებ ჯგუფს არავინ დასხმია თავს. საქმე სულ სხვანაირად იყო. ამ ტელეკომპანიაში ბევრი პროფესიონალი მუშაობს და კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ მათ მართავს ნაცმოძრაობა. მათ ყოფილი ხელისუფლების მითითებით მოაწყვეს პროვოკაცია და შემთხვევითი არაა, ამ ფაქტს მაინცდამაინც ჩიორა თაქთაქიშვილი რომ შეესწრო.

ლამაზი არ არის, როცა ვინმე გაგინებს, მაგრამ არც ისაა გამართლებული, დადო კამერა, გაიქცე და ამ ადამიანს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენო. არსად, არც ერთ კანონში არ წერია, რომ ჟურნალისტებს მოქალაქეების ცემის უფლება აქვთ.

– თუ მოქალაქე მათ აგინებს და შეურაცხყოფას აყენებს, არც ასეთ შემთხვევაში უნდა მოახდინონ რეაგირება? რახან ჟურნალისტია, ყველაფერი უნდა მოითმინოს?

– მე არ ვამბობ, რომ ყველაფერი უნდა მოითმინოს, მაგრამ არავის აქვს იმის უფლება, რომ მეორე ადამიანს სცემოს. მათ შეეძლოთ მიემართათ სამართალდამცავებისთვის და ისინი მოახდენდნენ რეაგირებას.

– იქნებ არ ჰქონდათ სამართალდამცავების იმედი?

– ეს არგუმენტი ამ საქციელს ვერ გაამართლებს. რას ჰქვია სამართალდამცავის იმედი არა აქვს. მაშინ ავიღოთ ხანჯლები და როგორც ძველად იყო, სისხლის აღების წესი აღვადგინოთ. თუ ჟურნალისტებისთვის ხელის შეშლა ისჯება, არც ჟურნალისტებს აქვთ მოქალაქეების ცემის უფლება. ნაციონალებმა ეს ინციდენტი სხვანაირად შეფუთეს და ახლა იმის დამტკიცებას ცდილობენ, თითქოს საქართველოში თავს ესხმიან მედიის წარმომადგენლებს. ასე ნამდვილად არ არის.

სამწუხაროა, რომ ქვეყანა მე-14 წელია ნაციონალების დღის წესრიგით ცხოვრობს. 9 წელი ხელისუფლებაში იყვნენ და ისინი მართავდნენ ყველაფერს. 4 წელია ოპოზიციაში არიან და მაინც ეგენი ადგენენ დღის წესრიგს. ააგორებენ რაღაც სკანდალს და ხელისუფლება იძულებულია, ამაზე თავი იმართლოს. იმის მაგივრად, რომ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაზე იზრუნოს, ხელისუფლება ნაციონალების ბრალდებებზე პასუხის გაცემით არის დაკავებული.

– მათ ბრალდებებს რომ არ უპასუხონ, არ შეიძლება? იქნება მათთვისაც მისაღებია ეს ფორმა? ხალხის ყურადღება მთლიანად ამაზე გადმოდის და სხვა პრობლემები იფარება.

– ნაციონალების ბრალდებები უპასუხოდ ვერ დარჩება. მათ საერთაშორისო ასპარეზზე სერიოზული დასაყრდენი აქვთ და ცდილობენ, ქვეყანა უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენონ. ხელისუფლება პასუხს თუ არ გასცემს, კიდევ უფრო უარესად იქნება საქმე.

ამერიკის თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა უილიამ პერიმ აღიარა, რომ ეს პარტია არის ამერიკული პროექტი. მან ისიც თქვა, შეცდომა დავუშვით, როცა მხარი დავუჭირეთ ვარდების რევოლუციასო. ახლა ვიღაცები დასავლეთში ცდილობენ, რომ ისინი ისევ ხელისუფლებაში დააბრუნონ. როდემდე უნდა იცეკვოს ქვეყანამ ვიღაცების დაკრულზე.

ნაციონალები ლიპარიტ ბაღვაშზე უარესები არიან. ის საქართველოს მთლიანობისთვის მაინც იბრძოდა და ბოლოს განუდგა დავით აღმაშენებელს. ესენი კი გამუდმებით საქართველოს წინააღმდეგ იბრძვიან. თავის დროზე ბიძინა ივანიშვილმა თქვა, კი ვიცი, როგორ მოქცევას იმსახურებენ ნაციონალები, მაგრამ ისე უნდა მოვიქცეთ, როგორც საქართველოს ეკადრებაო. ყოფილმა ხელისუფლებამ ეს შანსი არ გამოიყენა და როგორც აღმაშენებელი მოექცა ბაღვაშს, ასე უნდა მათთან მოქცევაც. მომავალი პარლამენტის მიერ ნაციონალური მოძრაობა უნდა გამოცხადდეს კანონგარეშედ და გასამართლდეს.

– დასავლეთი ნაციონალების დაკავებაზე და მათ წინააღმდეგ გამოძიების დაწყებაზე მკვეთრად რეაგირებს. თქვენი აზრით, ისინი დაუშვებენ იმას, რომ ეს პარტია გასამართლდეს?

– რატომ უნდა ავიღოთ დასავლეთისგან ნებართვა დამნაშავეების დასჯაზე? რამდენიმე დღის წინ გერმანიაში გაასამართლეს 92 წლის კაცი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს ოსვენციმის ბანაკის დარაჯი იყო. მას 5 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. გერმანელები ლოგინად ჩავარდნილ ნაცისტებსაც კი ასამართლებენ და ჩვენ რატომ გვიშლიან დამნაშავეების დასჯას, არ მესმის. ნაციონალებს ნაცისტებზე უარესი დანაშაულობები აქვთ ჩადენილი.

აქ ვინმემ ნაციონალს ცუდად რომ შეხედოს, ამერიკის ელჩი გამოვარდება და ყვირილს იწყებს. კორცხელში მომხდარი ინციდენტი დღემდე სალაპარაკო თემად აქვს იან კელის. ნაციონალები რომ გალახეს, ეგ კარგად დაუნახავს, მაგრამ ვერ შეამჩნია, როგორ სცემდნენ იმავე კორცხელში ყოფილი ხელისუფლების ზონდერები ოპონენტებს ხელკეტებით. იმავე პერიოდში ამერიკაშიც მოხდა კორცხელზე უარესი ინციდენტი. ტრამპის მომხრეებმა და მოწინააღმდეგეებმა ერთმანეთს სასტიკად სცემეს. ამის გამო რატომღაც არავინ შეშფოთებულა, მათ შორის, არც ევროპა.

– ეტყობა, ამერიკაში მუშტების ქნევაც დემოკრატიულია.

– ამერიკისთვის ყველაფერი დაშაშვებია, ჩვენ კი არაფრის უფლებას არ გვაძლევენ. დონალდ ტრამპი ამერიკელებს სამართლიანობის აღდგენას და ჰილარი კლინტონის დაჭერას ჰპირდება. ტრამპი ამბობს, რომ კლინტონის ხელისუფლებაში ყოფნის დროს საბიუჯეტო სახსრები არამიზნობრივად იხარჯებოდა და კორუფციულ გარიგებებს ჰქონდა ადგილი. ასეთი განცხადებების გამო ჩვენს ხელისუფლებას ეუბნებიან, წარსულის ქექვას თავი დაანებეთო. ტრამპს კი არავინ არაფერი უთხრა. არადა ეს კაცი ხვალ შეიძლება ამერიკის პრეზიდენტი გახდეს.

– იქნებ მართლა არ ღირს გამუდმებით წარსულის ქექვა?

– რას ჰქვია არ ღირს? ნაციონალებს ჩადენილი საქციელის გამო ბოდიში რომ მოეხადათ, ხალხი სხვანაირად იფიქრებდა და შეიძლება მათთვის ეპატიებინათ კიდევაც. იმ ხალხმა, ვინც ზვიად გამსახურდიას დამხობაში მიიღო მონაწილეობა, მოინანია და ხალხმა მათ რაღაცნაირად აპატია. ესენი პატიების თხოვნის ნაცვლად აქეთ გადმოდიან შეტევაზე, სხვადასხვა პარტიებში გაიშალნენ და სხვადასხვა ფრონტიდან უტევენ ქვეყანასაც და ხელისუფლებასაც.

ზოგიერთი მათგანი ისეთი უზნეო გამოდგა, რომ ვანო მერაბიშვილის საქმე გირგვლიანის საქმესაც კი შეადარა. მერაბიშვილის ამბავმა ბევრი პოლიტიკოსის ნამდვილი სახე გამოაჩინა. ასეთი ლუსტრირება საქართველოში ჯერ არ მომხდარა. ცუდი ისაა, რომ ასეთი ადამიანებით არის სავსე პოლიტიკა, თორემ იმაში ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მერაბიშვილი ციხიდან კარგა ხანს ვერ გამოვა. ექსკლუზიურად გეუბნებით, ძალიან მალე მას გენერალ გია კრიალაშვილის მკვლელობის საქმეზე წაუყენებენ ბრალს. ამ საქმეზე მას ფაქტობრივად აღიარებაც აქვს მიცემული. ყველამ ვნახეთ ის ფირი, სადაც ვანო გაიძახის, 2 გვამი მინდაო.

– საიდან იცით, რომ მერაბიშვილს გია კრიალაშვილის საქმეზე წაუყენებენ ბრალს?

– ცოტა ხნის წინ ვესაუბრე მის დას, ლია კრიალაშვილს. როგორც ლიამ მითხრა, ამ საქმეზე პროკურატურა ინტენსიურად მუშაობს. საქმეში დამოუკიდებელი ექსპერტებიც ჩაერთვნენ. მათ შორის არის მაია ნიკოლეიშვილიც.

– გია კრიალაშვილის საქმე აქამდე რატომ არ არის გამოძიებული? ხელისუფლებას ამ საქმის გამოძიება ძალიან ხომ არ დააგვიანდა?

– ზოგიერთი საქმის გამოძიება მართლაც დაგვიანდა. საქმე გვაქვს ნაციონალებთან, რომლებმაც მტკიცებულებების დიდი ნაწილი მოსპეს. ასეთ დროს ჯობია დაგვიანდეს, მაგრამ უტყუარი მტკიცებულებები იქნას მოპოვებული. ასეთი მტკიცებულებები რომ ვერ მოიპოვეს, სწორედ ამიტომ გამართლდნენ რიგ ეპიზოდებში მერაბიშვილი, უგულავა და ახალაია. მე კარგად მესმის კრიალაშვილის ახლობლების, მათ ეჩქარებათ დამნაშავის დასჯა, მაგრამ ჯობია მოითმინონ და მართლა დაისაჯოს დამნაშავე, ვიდრე სიჩქარით მოპოვებული მტკიცებულებები არასაკმარისი აღმოჩნდეს.

ძალიან ცუდია რომ სტრასბურმა მერაბიშვილთან დაკავშირებით ასეთი გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ კარგი ისაა, რომ ეს მისი გამოშვების საფუძველი არ არის. კარგია ისიც, რომ ბევრი პოლიტიკოსის ნამდვილი სახე დავინახეთ. იმედია, ეს „ქართული ოცნებისთვის“ კარგი გაკვეთილი იქნება და პოლიტიკურ მეძავებს აღარ წაახალისებენ.

– პოლიტიკური მეძავების წახალისებაში რას გულისხმობთ?

– ათასპარტიაგამოვლილ ხალხს რომ ღებულობენ თავის რიგებში. „ქართული ოცნების“ საარჩევნო სია ჯერ გამოქვეყნებული არ არის, ამიტომ გამიჭირდება იმის თქმა, წახალისებულია თუ არა პოლიტიკური პროსტიტუცია. ადამიანი ათას პარტიას რომ გამოიცვლის, ესაც პროსტიტუციაა.

„ქართულმა ოცნებამ“ მარგველაშვილის და რესპუბლიკელების გვერდზე დაყენებით იმდენჯერ წაიმტვრია კისერი, სიის შედგენისას სიფრთხილეს გამოიჩენს. ხელისუფლებამ უჩა ნანუაშვილის შემთხვევაშიც დიდი შეცდომა დაუშვა. ამ ადამიანს სახალხო დამცველი არ უნდა ერქვას.

– რა დააშავა ნანუაშვილმა ასეთი?

– სახალხო დამცველის აპარატი თავად იქცა საკუთარი თანამშრომლების უფლებების დამრღვევ სტრუქტურად. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ თანამშრომლების მიმართ ადგილი აქვს სიტყვიერი შეურაცხყოფის და ფიზიკური ანგარიშსწორების მცდელობის უამრავ ფაქტს.

სახალხო დამცველის აპარატს ხელმძღვანელობს არა უჩა ნანუაშვილი, არამედ მისი მოადგილე და „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ყოფილი წევრი ნათია კაციტაძე, რომლის მეშვეობით ხდება ადამიანების განთავისუფლება განსხვავებული შეხედულებების, აღმსარებლობის და მართლმადიდებლური რწმენის გამო. ადგილი აქვს ნეპოტიზმის გამოვლინების უამრავ ფაქტს.

სახალხო დამცველის ოფისი ჩამოყალიბდა რესპუბლიკური პარტიის კომკავშირის, საიას ქვეუწყებად. თითქმის ყველა თანამდებობაზე სწორედ საიელები და მასთან დაკავშირებული პირები ინიშნებიან. საიას ყოფილი თავმჯდომარე და ამჟამად დეპუტატი თამარ ხიდაშელი გახლდათ სახალხო დამცველის აპარატის ერთ-ერთი ხელმძღვანელი 2013-2015 წლებში. ნათია კაციტაძის რეკომენდაციით და პატრონაჟით სხვადასხვა თანამდებობებს იკავებენ ასევე ყოფილი საიელები თათული თოდუა, ეკა ხუციშვილი, ეკა ფოფხაძე, ნიკო თათულაშვილი და სხვადასხვა რეგიონული სამსახურის ხელმძღვანელები. ხდება მრავალწლიანი გამოცდილების მქონე თანამშრომლების განთავისუფლება დასაბუთების გარეშე.

ახლახან გაათავისუფლეს ცენტრალური და რეგიონალური ოფისის ხელმძღვანელები ბაგრატ ქირია, ნინო აზნაურაშვილი, სედა მელქუმიანი, ლეილა მამედოვა და სხვები. თანამდებობის დატოვება მოსთხოვეს სახალხო დამცველის პირველ მოადგილე პაატა ბელთაძესაც. იმედია, საქართველოს პარლამენტი ამ საქმეებით დაინტერესდება და სათანადო გადაწყვეტილებასაც მიიღებს.

მიხეილ ჯანელიძე: „ყველა სახელმწიფო აღნიშნავს, რომ საქართველოსთან დაკავშირებით კითხვები არ არსებობს“

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე უენევაში გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს სესიის ფარგლებში შვეიცარიის კონფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრ დიდიე ბურჰგალტერს შეხვდა.

შეხვედრაზე მინისტრებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესახებ მოლაპარაკების წარმატებით დასრულებაზე.

როგორც მინისტრებმა აღნიშნეს, ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოსა და ასოციაციის წევრ სახელმწიფოებს შორის სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას, რაც, თავის მხრივ, საქართველოში გაზრდის ევროპის აღნიშნული სახელმწიფოებიდან ინვესტიციების მოცულობას.

საქართველოსა და ევროპის თავისუფალ სავაჭრო ასოციაციას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების თაობაზე მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა, მხარეები დოკუმენტის ტექსტზე საბოლოოდ შეჯერდნენ, რის შემდეგაც შეთანხმებას ხელი მოეწერება.

– მე მინდა მივესალმო გუშინდელი შეხვედრის შედეგს, სადაც ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები შეიკრიბნენ და იმსჯელეს სხვადასხვა საკითხზე, მათ შორის საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის საკითხზე. ესაა ევროკავშირის საბჭოს ძალიან მნიშვნელოვანი შემადგენლობა, რომელიც მსჯელობს პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხებზე. როგორც მოგეხსენებათ, ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელმა, ქალბატონმა მოგერინიმ ხაზი გაუსვა, რომ საქართველომ ყველა ვალდებულება შეასრულა ძალიან წარმატებით, ყველა სახელმწიფო აღნიშნავს, რომ საქართველოსთან დაკავშირებით კითხვები არ არსებობს და, შესაბამისად, გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს მალე. ესაა ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც ამ განხილვების პერიოდში გადაიდგა.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გამოქვეყნდა მოხსენება საქართველოს ვიზალიბერალიზაციის საკითხზე ევროპის პარლამენტში მომხსენებლის, ევროპის სახალხო პარტიის წარმომადგენელ მარია გაბრიელის მიერ. აღნიშნულ მოხსენებაში მითითებულია პოზიტიური რეკომენდაცია, რომ საქართველოს ვიზალიბერალიზაციის საკითხზე ევროკავშირის პარლამენტმა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს პირველი მოსმენით და ასევე მასში აღწერილია ის მიღწევები, რაც საქართველოს ჰქონდა ამ ვიზალიბერალიზაციის გეგმის შესრულების პროცესში. განსაკუთრებულად აღნიშნულია ის პოზიტიური ნაბიჯები, რომლებიც მას შემდეგ გადაიდგა, რაც პოზიტიური რეკომენდაცია შესრულდა და გაგრძელდა რეფორმები საქართველოში, რომელიც ხელს უწყობს როგორც ინსტიტუციურ, ასევე საკანონმდებლო ჩარჩოს გაძლიერებას ამ კუთხით, – განაცხადა ჯანელიძემ.



როგორც მინისტრი აცხადებს, ასევე ვიზალიბერალიზაციის გეგმის შესრულებით საქართველომ ძალიან ღრმა და მნიშვნელოვანი, რთული რეფორმები განახორციელა, მათ შორის მართლმსაჯულებისა და სხვა საშინაო საქმეებში.

ნიუსპრესი

პაატა ჯიბლაძე: „ნაციონალები სატელიტებს აამოქმედებენ“

მარიამ მჭედლიშვილი

პოლიტიკოსები აფასებენ პრემიერ ბიძინა ივანიშვილის მონოდებას საარჩევნოდ ეთიკის კოდექსის შემუშავების შესახებ. საუბარია იმაზე, რომ პოლიტიკოსებმა უარი უნდა თქვან სიძულვილის ენის გამოყენებასა და ერთმანეთის შეურაცხყოფაზე. მემარცხენე ალიანსის პოლიტიკური მდივანი პაატა ჯიბლაძე „ახალ თაობასთან“ საუბარში აცხადებს, რომ ოპონენტებს ყველაზე ხშირად ნაციონალური მოძრაობა შეურაცხყოფდა.

პაატა ჯიბლაძე:

– არჩევნების წინ ყოველთვის იძაბება სიტუაცია. ამ დროს ოპონენტები შეიძლება ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. თუ ადამიანს შინაგანი კულტურა აქვს, ის ზღვარს ასეთ დროსაც არ გადავა. ისე, ოპონენტებისა და მთლიანად მოსახლეობის შეურაცხყოფა დამახასიათებელია ნაციონალური მოძრაობისათვის. ამის დასამტკიცებლად მარტო სააკაშვილის გამონათქვამების მოყვანაც საკმარისია.

მისი თანაგუნდელი გივი თარგამაძე საკუთარ თანამოქალაქეებს ნაძირლებს სახალხოდ ეძახდა. სააკაშვილის რეჟიმს იმდენი საშინელება აქვს ჩადენილი, რომ გასაკვირიც არაა, თუ მათ მიმართ ახლა ვინმე მთლად კორექტული ვერ იქნება.

– ზოგიერთი პოლიტიკოსის აზრით, პრემიერის მოწოდება აზრს კარგავს იმ პირობებში, როცა ბოლომდე გამოუძიებელია კორცხელის ინციდენტი..

– კორცხელში მართლაც მოხდა ძალადობა. ეს არ მოხდებოდა, ხელისუფლებას დროულად რომ დაემყარებინა სამართლიანობა. სამართლიანობის მაგივრად ხელისუფლება კოაბიტაციაში შევიდა ნაციონალურ მოძრაობასთან. ამის გამო ხალხში თავიდანვე დიდი უკმაყოფილება იყო. ან როგორ შეიძლება კოაბიტაცია მოიწონოს ადამიანმა, რომელსაც ნაცმოძრაობის რეჟიმმა ქონება წაართვა, ან რომელიც სასტიკად აწამა? შედეგად მივიღეთ კორცხელის ინციდენტი.

– საარჩევნო უბანთან ძალადობისათვის კანონი მკაცრდება.

– მემარცხენე ალიანსი ამას მივესალმებით. ჩვენ ამისი არ გვეშინია. ეს დისკომფორტს შეუქმნის იმ ძალას, რომელიც არჩევნების დღეს ვარდების რევოლუცია-2-ს გეგმავს. ეს ძალა ქვეყნის იმიჯის შელახვაზეც მიდის და დესტაბილიზაციისთვისაც ემზადება. კანონის გამკაცრება ასეთ სუბიექტებს არ მოეწონებათ.

– საზოგადოების ნაწილი აპროტესტებს იმ ნორმას, რომელიც პოლიციელებს საარჩევნო უბანთან ყოფნის უფლებას მისცემს.

– არ მესმის, რა არის ამაში საპროტესტო? თუ ამომრჩეველი ან პოლიტიკოსი კანონს არ არღვევს, რატომ უნდა ეშინოდეს პოლიციელის, რომელიც საარჩევნო უბნის მიმდებარედ იმყოფება? გარე პერიმეტრზე პოლიციელის ყოფნა პრობლემას არ უნდა ქმნიდეს. ერთადერთი, ვისაც ეს არ მოეწონება, ის ძალაა, რომელიც არეულობას და დესტრუქციას გეგმავს.

– რევოლუცია და არეულობა არჩევნების დღეს მეორედ ახსენეთ. იქნებ, ქუჩაში გამოსვლები არჩევნებიდან რამდენიმე დღეში ხდება?

– ამის საშიშროებაც არსებობს. ეს შედის ნაციონალური მოძრაობის გეგმებში. მას რევოლუციური გეგმების რამდენიმე ვარიანტი აქვს. ამ პარტიამ იცის, რომ არჩევნებზე პოლიტიკურ სანაგვეზე გადაგდება ელის. ნაციონალურ მოძრაობას ჰყავს სატელიტები როგორც ძველ პარტიებს შორის, ისე ახლებშიც. ამ ახალი პარტიების ნაწილი ყოფილმა ნაციონალებმა დააარსეს.

„ოპონენტებს ყველაზე ხშირად ნაციონალური მოძრაობა შეურაცხყოფდა“

თავიდან ამ სატელიტებს დააწყებინებენ ხმაურს, ყიყინს იმაზე, რომ არჩევნები გაყალბდა. ამის მერე საპროტესტო აქციებში უფრო სოლიდურ ძალებს ჩარევენ და თვითონაც ჩაერთვებიან. არიან პირები, რომლებიც თავისი ბიზნესით თუ სხვა საქმიანობით ან ფინანსებით მიბმული არიან ნაცმოძრაობაზე. ისინიც იაქტიურებენ. საქართველოში ნაძარცვი ფული ნაციონალურ მოძრაობას თავზე საყრელად აქვს. ამ დესტრუქციულ მოქმედებებში ბევრს დახარჯავენ, თუმცა, ერთი პრობლემა მაინც გადაუჭრელი აქვთ.

– რომელი პრობლემა?

– ნაციონალებს და მათ სატელიტებს ხალხი ვერ გამოჰყავთ. 2003 წელსაც ჰქონდათ მსგავსი პრობლემა, მაგრამ მაშინ შევარდნაძის გარემოცვის გამყიდველი წევრები, ჩინოსნები საქმეში ჩაერთვნენ და რეგიონების მობილიზება მოახდინეს და მოხდა ე.წ. რევოლუცია.

მემარცხენე ალიანსი ყოველგვარ არეულობას წინასწარ ვემიჯნებით და ხელისუფლებას მოვუწოდებთ, ახლა, არჩევნებამდე დარჩენილ დროში მაინც გადადგან ნაბიჯები სამართლიანობის აღსადგენად.

პროკურატურაში უამრავი საქმე დევს იმ დანაშაულებზე, რომლებიც ნაცმოძრაობის რეჟიმმა ჩაიდინა. თუ ამ მხრივ არაფერი გაკეთდა, ეს ქვეყანას დააზარალებს. თუ არაფერი მოხდა, სამართლიანობას ხალხს ჩვენ ვპირდებით. ხელისუფლებამ იმაზეც უნდა იზრუნოს, რომ რომელიმე გამგებელი ან გუბერნატორი არ შეცდეს და არ მიიღოს მონაწილეობა არჩევნების გაყალბებაში. უნდა გამოირიცხოს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაც.

„საარჩევნო უბანზე ძალადობისათვის კანონის გამკაცრებას მივესალმებით“

შორენა მარსაგიშვილი

ვინ უთვალთვალებს „ახალ საქართველოს“

„ახალი საქართველო“ ხელისუფლებას ნაციონალების მეთოდების გამოყენებასა და ოპონენტების თვალთვალში ადანაშაულებს. პარტიის ლიდერების განცხადებით, ხელისუფლების წარმომადგენლები თან დაჰყვებიან და მათ თვალთვალსა და გადაღებას აწარმოებენ.

რამდენიმე დღის წინ „ახალი საქართველოს“ წარმომადგენლები იუსტიციის სახლში იმყოფებოდნენ, სადაც მოთვალთვალე ობიექტი გამოიჭირეს, ფოტოც გადაუღეს და ახლა ხელისუფლებისგან აღიარებით ჩვენებას ითხოვენ.

თავიდან მათ ეჭვი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურზე მიიტანეს. ამასთან დაკავშირებით 20 ივნისს საგანგებო განცხადებაც გაავრცელეს.

მათ განცხადებას სუსის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ნინო გიორგობიანი გამოეხმაურა. გიორგობიანი „ახალ საქართველოს“ სიცრუეში ადანაშაულებს და ამტკიცებს, რომ მათ მიერ დაფიქსირებული პიროვნება უსაფრთხოების სამსახურში არ მუშაობს.

– იუსტიციის სახლში ჩვენ მოვახერხეთ იმ პირის დაფიქსირება, რომელიც უშუალოდ აწარმოებდა ფოტო-ვიდეო გადაღებას და აღვნიშნეთ, რომ ეს პირი იყო სუსის თანამშრომელი. მან ჩვენთან საუბარში თავად დაადასტურა, რომ უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი იყო. სუსი ამ ინფორმაციას უარყოფს. ახლა ჩვენ ვითხოვთ მათგან გვითხრან, რომელ სახელმწიფო სამსახურში მუშაობს ეს ადამიანი, – განაცხადა გუშინ, 21 ივნისს, საგანგებო ბრიფინგზე პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ხაბეიშვილმა.

მას ეჭვიც კი არ ეპარება, რომ პიროვნება, რომელიც მათ გადაღებას აწარმოებდა, ერთ-ერთ სახელმწიფო სამსახურშია დასაქმებული.

– რადგან თქვეს, რომ ეს ადამიანი სუსში არ მუშაობს, გამოდის, რომ მისი ვინაობა დაადგინეს. ჰოდა, გვითხრან, რომელ სახელმწიფო სტრუქტურაშია ეს პიროვნება დასაქმებული. თუ არსად არ მუშაობს, მაშინ ის აგვიხსნან, როგორ მოხვდა ის იუსტიციის სახლის მეორე სართულზე. იქ მოქალაქეებს გადაადგილების უფლება არ აქვთ, ან იქნებ ის ადამიანი მთამსვლელი იყო და აიპარა, – აღნიშნავს „ახალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი.

ხაბეიშვილს იმის გარკვევაც აინტერესებს, თუ რატომ სარგებლობდა ეს ადამიანი ფოტო და ვიდეო გადაღების უფლებით.

– ეს პიროვნება ჩვენ ფოტოებსა და ვიდეოებს ჯერ მეორე სართულიდან გვიღებდა, შემდეგ ეს საქმიანობა პირველ სართულზე გააგრძელა. როდესაც ჩვენ მისი გადაღება დავაპირეთ, იუსტიციის სახლის თანამშრომლებმა ამის უფლება არ მოგვცეს. პასუხი ამ კითხვასაც უნდა გაეცეს, – ამბობს ხაბეიშვილი.

მათ, მართალია, სუსისგან პასუხი მიიღეს, მაგრამ ბოლომდე არ სჯერათ, რომ „მოხალისე ოპერატორი“ უსაფრთხოების თანამშრომელი არ არის.

– იმისათვის, რომ უსაფრთხოების სამსახურთან ითანამშრომლო, არ არის აუცილებელი, ამ სამსახურში მუშაობდე. ჩვენ ვნახეთ უნივერსიტეტში ხალხი, რომლებიც აქ მუშაობდნენ, მაგრამ სუსის ოდეერები იყვნენ. შესაძლოა, ახლაც ასეთ რამესთან გვაქვს საქმე. შესაძლოა, ეს პირი თეა წულუკიანის ზონდერია, – აღნიშნავს „ახალი საქართველოს“ წარმომადგენელი.

მისი განცხადებით, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც „ახალი საქართველოს“ გუნდის წევრებს დასდევენ და უთვალთვალებენ. ხაბეიშვილის განმარტებით, მსგავსი შემთხვევები განსაკუთრებით მრავლადაა რეგიონებში.

– უახლოეს მომავალში ჩვენ ყველა იმ ადამიანს გამოვაშკარავებთ, რომლებიც ჩვენზე აწარმოებენ თვალთვალს. სამწუხაროა, რომ „ქართული ოცნება“ ოპონენტებთან საბრძოლველად წინა ხელისუფლების მეთოდებს იყენებს, – აღნიშნა ხაბეიშვილმა.

ვახტანგ ხმალაძე მთავრობას: „ჩვენ რა, ნოტარიუსები ვართ?“

ჩვენ რა, ნოტარიუსები ვართ, რომ ავიღოთ დოკუმენტი, დავადასტუროთ ხელმოწერის სინამდვილე და მის შინაარსში არ ჩავიხედოთ?! – აღნიშნული განცხადებით იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძემ ეკონომიკის სამინისტროსა და მთავრობის წარმომადგენლებს მიმართა.

ხმალაძემ მთავრობის მოთხოვნა გააპროტესტა, რომელმაც პარლამენტს „სახიფათო ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების შესახებ“ ევროპულ შეთანხმებასთან შეერთებისა და აღნიშნულ შეთანხმებასთან ერთად, „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ კანონებში ცვლილების დაჩქარებული წესით განხილვის და მიღების წინადადებით მიმართა.

როგორც ხმალაძემ განაცხადა, პარლამენტს მოუწევს დაჩქარებული წესით გადაწყვეტილება მიიღოს საკითხზე, რაც მან არ იცის.

– ამ შეთანხმებაზე პასუხისმგებელია ორი უწყება – მთავრობა და პარლამენტი. მთავრობა ამბობს, მოდი, გავაკეთოთ რატიფიცირება და პარლამენტმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. წარმოდგენილი საკითხი 2.400-გვერდიანია და ჩვენ ის დაჩქარებული წესით უნდა მივიღოთ. გამოდის, რომ პარლამენტი უპასუხისმგებლოდ უნდა მოიქცეს, რადგან ფიზიკურად შეუძლებელია დაჩქარებული წესით 2.400-გვერდიანი დოკუმენტის გადახედვაც კი. რა აუცილებლობის გამო გვაყენებთ ასეთ მდგომარეობაში?! – მიმართა ხმალაძემ მთავრობის წარმომადგენლებს.

თავის მხრივ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ირმა ქავთარაძემ განმარტა, რომ შეთანხმების და მასთან დაკავშირებული პროექტების დაჩქარებული წესით განხილვის და მიღების აუცილებლობა ევროკავშირის მოთხოვნით არის გამოწვეული, რომელიც დოკუმენტის რატიფიცირებას დიდი ხანია ითხოვს.

ქავთარაძის განცხადებით, მთავრობა და სამინისტრო ამ დრომდე შიდა პროცედურებს ახორციელებდა. მისივე თქმით, მთავრობა პარლამენტისგან გადაწყვეტილების დაჩქარებული წესით მიღებას არ მოითხოვდა, რომ არა ის გარემოება, რომ მიმდინარე კვირა ბოლო სასესიო კვირაა. გარდა ამისა, როგორც კომიტეტის სხდომაზე ითქვა, მთავრობა აღნიშნულ საკითხზე სამი წლის განმავლობაში მუშაობდა.

ხმალაძისთვის სამინისტროს განმარტება მიუღებელი აღმოჩნდა. მისთვის გაუგებარია, თუკი ევროკავშირი დიდი ხანია საკითხის რატიფიცირებას ითხოვს, პარლამენტს ის უფრო ადრე რატომ არ წარედგინა.

– ჩვენ რა ნოტარიუსები ვართ, რომ ავიღოთ დოკუმენტი, დავადასტუროთ ხელმოწერის სინამდვილე და მის შინაარსში არ ჩავიხედოთ?! ეს ხომ ასე არ არის?! საკითხი მთავრობაში სამი წლის განმავლობაში განიხილებოდა, ხოლო პარლამენტმა სამ დღეში უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, ხო?! საკითხის ასე დასმა, ცოტა უხერხული ხომ არ არის?! თუკი პარლამენტი არ მიიღებს ამას, ესე იგი ჩვენ ვიქნებით უპასუხისმგებლები, ქვეყანას მივაყენებთ ზიანებს და ასე შემდეგ.

ხოლო მთავრობა არის უმწიკვლო კრავი – მათი ბრალი არაფერია, ყველაფერი პარლამენტის ბრალი იქნება. მე მაქვს პასუხისმგებლობის განცდა და არ მინდა ხელი ისეთ რამეს მოვაწერო, რაც არ ვიცი – ასეთ რამეს არ ვაკეთებ ხოლმე. თქვენ ჩვენგან და პარლამენტისგან ითხოვთ, „არ წაიკითხოთ, სიტყვაზე მენდეთ და მხარი დამიჭირეთ“ კარგი ბატონო, გენდობით, მაგრამ ვარგა, სწორია ასეთი მოქმედება?! – განაცხადა ვახტანგ ხმალაძემ.

ინტერპრესნიუსი

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

ოთარ დანელია: „ევროკავშირიდან ქართულ თაფლზე საბოლოო რატიფიცირებას ველოდებით“

ნათია ხურცილავა

სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია „ახალი თაობასთან" ინტერვიუში აცხადებს, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობა ევროსტანდარტებზე გადადის და ამისთვის სახელმწიფო მთელი შემარითებით მუშაობს.

– ბატონო ოთარ, პრემიერი კვირიკაშვილი აცხადებს, საქმით დავამტკიცებთ, რომ სოფლის მეურნეობა პრიორიტეტული დარგია. თქვენ აღნიშნეთ, რომ დასახულ გეგმას მიყვებით. რამდენად რეალურია ამ გეგმის განხორციელება?

– ეს არის სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმა და მისთვის ხორცშესხმა სავსებით რეალურია. ჩვენ თანმიმდევრულად მივყვებით იმ გეგმას, რომელიც ჩვენ სტრატეგიით 2020 წლამდე გვაქვს პრაქტიკულად ყველა მიმართულებით ძალიან კონკრეტულად დასახული.

– რა იგულისხმება ამ გეგმაში?

– ამ გეგმაში იგულისხმება, მაგალითად, მელიორაციის განვითარების ხედვა, ინფრასტრუქტურის განვითარება, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია. ასევე მნიშვნელოვანია სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების განვითარება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა. იფუნქციონირებს საკონსულტაციო ცენტრები. მოხდება კოოპერატივების განვითარება, დიდი მნიშვნელობა დაეთმობა სურსათის უვნებლობას.

ამ დარგების განვითარება სინთეზურად უნდა მოხდეს, რადგან ერთის განყენებულად განვითარება წარმატებას ვერ მოიტანს. საბოლოო ჯამში ეს იქნება ერთი ფანჯრის პრინციპით, რომელიც ასევე თანხვედრაშია სახელმწიფო ხედვასთან.

პრემიერ-მინისტრი ხშირად აცხადებს, რომ ეს უნდა იყოს ერთი დიდი ფრონტოფისი, რათა მიზნის განხორციელება უფრო ადვილი იყოს. რაც მთავარია, ერთიანი აგროკრედიტი მოქმედებს, გამარტივებულია კომუნიკაცია.

– გლეხებისთვის, ფერმერებისთვის რა კეთდება, რომ მათთვის უფრო ადვილი იყოს ბიზნესის წარმოება?

– ჩვენი პროექტის ფარგლებში 150 საწარმო დავაფინანსეთ, რომელიც საერთოდ არ არსებობდა. მნიშვნელოვანია, რომ ერთიანი მიდგომით შევცვალოთ ის ხედვა, რაც კიდევ უფრო გაამარტივებს და უფრო პროექტურს გახდის ჩვენი სერვისებისადმი ხელმისაწვდომობას მოსახლეობისთვის, გლეხებისთვის, ფერმერებისთვის.

ასევე მინდა აღვნიშნო სოფლის მეურნეობაში აგროდაზღვევის შედეგები – საბოლოო ჯამში 200 მილიონი ლარის რისკი დაეზღვია. ასევე მნიშვნელოვანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რომლებიც სწორედ ასეთი ხელშეწყობის პროექტებით არის განპირობებული. 28 მილიონზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია მივიღეთ გასულ წელს.

– ახალი ინიციატივა 4 პუნქტიან გეგმასთან დაკავშირებით რას ითვალისწინებს?

– ჩვენ ახალი ინიციატივით გამოვედით, რომ ყველა პროექტი ერთი ქოლგის ქვეშ გაგვეერთიანებინა. ამით ერთი ფანჯრის პრინციპით მოსახლეობას, ფერმერებსა და გლეხებს საშუალება ექნებათ მიიღონ ყველა ის პროდუქტი, რომელიც აქვს სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

ამაში შედის უკვე განახლებული კომპონენტები, როგორც აგროდაზღვევის, ისე დაკრედიტების ნაწილში, ასევე საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობა, კიდევ უფრო მეტი ხელმისაწვდომობა შეღავათიან რესურსზე და გრძელვადიანი პერსპექტივით სესხების გაცემის შესაძლებლობები.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს არის ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, ოპტიმიზაცია იმ რესურსების, რომლებიც მობილიზებულია ამ საწარმოებში, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა და ევროსტანდარტების დანერგვა, რაც ასევე აუცილებელია ჩვენი ეკონომიკისთვის, მისი გაძლიერებისთვის. სწორედ 4 პუნქტიანი გეგმა მოიაზრებს სოფლის განვითარებას.

– კონკრეტულად რას გულისხმობს ეს გეგმა?

– მაგალითად, სივრცით მოწყობის, მთელი რიგი მიმართულებების რეფორმას გულისხმობს და, რაც მთავარია, თანამშრომლების გადამზადებას, მათ კვალიფიკაციის ამაღლებას. ასევე აქ იგულისხმება ევროსტანდარტების დანერგვა, რათა კიდევ უფრო კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება შევძლოთ და ევროსტანდარტები დავნერგოთ ქვეყანაში.

– ბატონო ოთარ, ჩვენი პროდუქცია რომ შევიდეს ევროპის ბაზარზე, რა უნდა გაკეთდეს ამისთვის? აქამდე რუსული ბაზარი იყო მხოლოდ ხელმისაწვდომი და ახლა ევროსტანდარტებზე უნდა გადავეწყოთ, როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი?

– ერთი ბაზარიც და მეორე ბაზარიც ჩვენთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს და ორივე მიმართულებით უნდა ვიყოთ წარმოდგენილები. ერთი ბაზარი ნამდვილად არ გამორიცხავს მეორეს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ არსებულ ბაზრებს გავუფრთხილდეთ. ხელი არ უნდა შევუშალოთ ამ ბაზრებთან ურთიერთობას და ვაჭრობას, რადგანაც ეს კერძო სექტორის ხარჯზე ხდება და ჩვენ მათ მინიმუმ პირობები უნდა შევუქმნათ და მაქსიმუმ ხელი შევუწყოთ.

ევროკავშირის ბაზრებისა და ზოგადად საერთაშორისო ბაზრების ნაწილში დივერსიფიკაცია ჩვენი თვითმიზანია. მნიშვნელოვანი გარღვევა გვაქვს აზიურ ბაზარზე, სადაც ჩინეთის ნაწილში თუნდაც მიმდინარე წელს, შარშანდელ მონაცემებთან შედარებით, 44%-ით არის ღვინის ექსპორტი გაზრდილი.

– ევროპულ ბაზარზე კონკურენცია ძალიან მაღალია, რა ნაბიჯებს ვდგამთ იმისთვის, რომ შევაღწიოთ და ჩვენი პროდუქცია ევროსტანდარტების ადეკვატური გახდეს?

– ევროდირექტივების საკმაოდ დიდი რაოდენობა გვაქვს მიღებული. 425-მდე ევროდირექტივა იყო, რომელიც ახლა ეტაპობრივად შემცირდა. ასევე გვაქვს სამოქმედო გეგმა, რომელიც გაწერილია და ზუსტად ვიცით, რა პერიოდულობით არის ქვეყანაში სტანდარტები დასანერგი იმისთვის, რომ კონკურენტუნარიანები ვიყოთ, მათ შორის ევროკავშირის ბაზარზე.

ევროკავშირის ბაზარი ჩვენთვის სტრატეგიული მნიშვნელობისაა. მოგეხსენებათ, ამ ბაზარზე მსყიდველობითი უნარი მაღალია და, რაც მნიშვნელოვანია საქართველოსნაირი ექსპორტიორი ქვეყნისთვის, სადაც ნიშური პროდუქტები გვაქვს, ეს არის საკმაოდ საინტერესო, ხელსაყრელი და შესაბამისად ინტერესიც დიდია სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიმართ ევროკავშირის ქვეყნებიდან.

– ყველაზე მოთხოვნადი პროდუქცია რა არის?

– პირველ რიგში, ალკოჰოლური სასმელები. ღვინო, ასევე მინერალური წყლები და თხილი. დიდია დაინტერესება თაფლისა და თევზის მიმართულებით. თაფლზე უკვე ველოდებით საბოლოო რატიფიცირებას, რადგან ძალიან დადებითი შეფასება მივიღეთ. ევროკომისიას მიმართეს კიდეც ჩვენმა მეგობრებმა, კოლეგებმა, რათა საქართველო მოხვდეს იმ სამეულში, საიდანაც შესაძლებელია თაფლის ექსპორტი ევროპაში.

ამ ყველაფრის უკან დიდი სამუშაო და ძალისხმევა დგას, რომელიც როგორც ლაბორატორიული კვლევების, ისე სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის, დაავადებათა კვლევის მიმართულებით დაინერგა ქვეყანაში.

– მომხმარებელთა უფლებების შესახებ კანონი დიდად არ ხიბლავს ბიზნესს და მათ ეს ყოფილ პრემიერთან შეხვედრაზე თქვეს. თქვენი პოზიცია როგორია ამ საკითხზე?

– რა თქმა უნდა, აზრთა სხვადასხვაობაა. არის ერთი ხედვა, რომელიც ეკუთვნის ბიზნესს, ამ შემთხვევაში ბიზნესასოციაციას. ასევე არის ინდივიდუალური ხედვებიც, ინიციატორთა ხედვაც. პირველ რიგში ვისი ინტერესებიც უნდა იყოს გათვალისწინებული, ეს არის ბიზნესი, კერძო სექტორი.

– თუ მომხმარებლის?

– კერძო სექტორი არის მომხმარებელი. ჩვენ მომხმარებლის პირველი დამცველები ვართ, ვინაიდან ჩვენ დავნერგეთ თუნდაც რძისა და რძის პროდუქტების რეგლამენტი. თუნდაც წელიწადნახევრის წინ თქვენ არ იცოდით, რას ყიდულობდით, დღეს თქვენ იცით, რა პროდუქციას ყიდულობთ.

– რაც ძალიან კარგია.

– დიახ, და ჩვენ ვართ ორიენტირებული, რომ მაქსიმალურად იყოს კერძო სექტორის, მომხმარებლის უფლებები დაცული. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მომხმარებელმა იცოდეს, რასთან აქვს საქმე. მას აქვს სრული უფლება, რომ ფლობდეს ინფორმაციას, თუ რას ყიდულობს, რათა სწორი არჩევანი გააკეთოს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესებმა არ შეაფერხოს ბიზნესსაქმიანობა.

„ჩინეთში 44%-ით არის ღვინის ექსპორტი გაზრდილი“

მეხანძრეებსა და მაშველებს სოციალური გარანტიები უწესდებათ

მეხანძრეებსა და მაშველებს სოციალური გარანტიები უწესდებათ. „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებები ჯანდაცვის კომიტეტის სხდომაზე განიხილეს.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილის განმარტებით, წარმოდგენილი ცვლილებები არის განხორციელებული რეფორმის ლოგიკური გაგრძელება. მისი თქმით, ახალი სტრუქტურის ჩამოყალიბების შემდეგ, პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს მეხანძრე-მაშველთა და მაშველთა სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიების საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრა, რამდენადაც იგი არის სამოქალაქო უსაფრთხოების სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა.

კანონპროექტის ნოვაციას წარმოადგენს სააგენტოს მოსამსახურეთა ფუნქციის მიხედვით მეხანძრე-მაშველთა და მაშველთა პირად შემადგენლობად და სამოქალაქო შემადგენლობად დაყოფა. შემადგენლობების მიმართ განისაზღვრა განსხვავებული სამართლებრივი სტატუსი, ფუნქცია-მოვალეობები და მარეგულირებელი ნორმები.

რეგულაცია ასევე ითვალისწინებს მეხანძრე-მაშველთა და მაშველთა დისციპლინური გადაცდომებისა და წახალისების მომწესრიგებელ ნორმებს. წახალისების ფორმებს ემატება მეხანძრე-მაშველთა და მაშველთა საპატიო სიაში შეყვანა.

კანონპროექტის სიახლეა ისეთი სოციალური გარანტიის დაწესება, როგორიცაა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მეხანძრე-მაშველისა და მაშველის დაღუპვის ან მიღებული დაზიანების შედეგად გარდაცვალების შემთხვევაში, ერთჯერადად 100.000 ლარის ოდენობის კომპენსაციისა და დაკრძალვის ხარჯის 500 ლარის გარანტირებულად გადაცემა.

– აღსანიშნავია, რომ მეხანძრე-მაშველთა და მაშველთა საქმიანობა თავისი არსით წარმოადგენს მომეტებული რისკის შემცველ პროფესიას. შესაბამისად, აუცილებელია სახელმწიფომ უზრუნველყოს მათი საქმიანობისთვის საჭირო უსაფრთხო პირობები, ასევე ისეთი სოციალური დაცვის გარანტიები, რომელიც ადეკვატურად პასუხობს მათ მიერ გაწეულ სამსახურს. სახელმწიფოს მიერ საგანგებო სიტუაციების ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფისთვის, აუცილებელია სახანძრო და სამაშველო ღონისძიებების უშუალო მონაწილე პირებისათვის შეთავაზებული იყოს ისეთი გარანტიები, რაც მათი მოტივაციის ამაღლებასა და დაკისრებული სამუშაოს სრულფასოვნად შესრულებას შეუწყობს ხელს, – განაცხადა შალვა ხუციშვილმა.

კომიტეტის სხდომაზე მსჯელობის საგანი გახდა კანონის ამოქმედების ვადა და უკუქმედების ძალა, რადგან მინისტრის მოადგილის განცხადებით, სოციალური გარანტიები გავრცელდება მხოლოდ 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ. კომიტეტს მიაჩნია, რომ სოციალური დაცვა იმ პირებზეც უნდა განხორციელდეს, რომლებიც 2017 წლამდე დაიღუპნენ სამაშველო, სახანძრო ან საავარიო-სამაშველო სიტუაციების დროს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას.

აღნიშნულ საკითხზე უფრო საფუძვლიანი მსჯელობისთვის, კომიტეტი შინაგან საქმეთა სამინისტროსგან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპულთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციას ელოდება.

ინტერპრესნიუსი

ალეკო ელისაშვილი მერიას უკანონო ნებართვის გაცემაში ადანაშაულებს

თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი ალეკო ელისაშვილი თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურს უკანონო ნებართვის გაცემაში ადანაშაულებს.

როგორც ელისაშვილმა საკრებულოში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, საბურთალოს ქუჩის 63-ე ნომრის მიმდებარე ტერიტორიაზე სახლის მშენებლობაზე ნებართვა ყოველგვარი გეოლოგიური დასკვნის გარეშეა გაცემული.

ალეკო ელისაშვილი ნებართვის გაუქმებასა და არქიტექტურის სამსახურის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას ითხოვს.

– მთავარმა არქიტექტორმა, არქიტექტურის სამსახურის უფროსმა, ფული გააკეთა და ისე გასცა ის უკანონო ნებართვა, ვინაიდან შეუძლებელია, იმდენად არაკომპეტენტური იყოს, რომ მოტყუებულიყო და შეცდომით მოეწერა ხელი იმ ნებართვებისთვის. კონკრეტულად გესაუბრებით, საბურთალოს №85, თანამედროვე ნუმერაციით არის სულხან ცინცაძის №63. გეოლოგიური დასკვნა ამ მშენებლობას არ გააჩნია და არის ძალიან დიდი საფრთხე, რომ კლდის მასივის მოჭრის და იქ მშენებლობის დაწყების შემდეგ საირმის ქუჩის კლდოვანი ფენა დაემხობა ამ ხალხს და მათ ფიზიკური გადარჩენის პრობლემა აქვთ, – განაცხადა ალეკო ელისაშვილმა.

დარღვევებზე გაამახვილა ყურადღება ამხანაგობა „საბურთალო 63“-ის ადვოკატმაც. ლაშა მჭედლიძე ამბობს, რომ ამ შეთანხმებით არქიტექტურის სამსახურმა შეითანხმა ისეთი მშენებლობა, რომელიც მოითხოვდა კოეფიციენტების გაზრდას.

– მიწისპირა სართული მითითებული არის მეშვიდე სართულზე, დაახლოებით საირმის ქუჩის პარალელურად. ამ მოქმედებით არქიტექტურის სამსახურმა შეითავსა ისეთი მშენებლობა, რომელიც მოითხოვდა კოეფიციენტების გაზრდას. 6-ჯერ მიმართა საპროექტო ორგანიზაციამ კოეფიციენტის გაზრდაზე ქალაქ თბილისის მერიას და 6-ჯერ უთხრა მას უარი, მეშვიდედ ისეთი მშენებლობის ნებართვა გასცა, თითქოს საერთოდ არ იყო საჭირო კოეფიციენტების გაზრდა და შეითანხმა მშენებლობა, რომელიც სრულად არის ამოვარდნილი არქიტექტურული კანონმდებლობიდან და კონტექსტიდან, – განაცხადა ლაშა მჭედლიძემ.

* * *

ალეკო ელისაშვილის ბრალდებას არქიტექტურის სამსახური განცხადებით პასუხობს, რომელსაც ნიუპოსტი უცვლელად გთავაზობთ:

– თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი ალექსანდრე ელისაშვილი კვლავ განაგრძობს ცილისმწამებლურ და შეურაცხმყოფელ კამპანიას თბილისის არქიტექტურის სამსახურის თანამშრომლებისა და სამსახურის უფროსის მიმართ. ამჯერად მისი უსაფუძვლო ბრალდებები უკავშირდება საბურთალოს ქ. №63-ისა და ს. ცინცაძის ქ. №63-ის მიმდებარედ გაცემულ მშენებლობის ნებართვას. როგორც ჩანს, ბატონ ელისაშვილს, მისთვის ჩვეულ სტილში, უაპელაციო განცხადებებით სურს შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოება და თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა, რომელიც არქიტექტურის სამსახურის თანამშრომელთა შეურაცხყოფისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვის გამო შესაძლოა დაეკისროს. როგორც მოგეხსენებათ,

მისი ცილისმწამებლური განცხადების საპასუხოდ მზადდება სარჩელი, რომელიც სასამართლოს უახლოეს ხანში წარედგინება. აღსანიშნავია, რომ ალექსანდრე ელისაშვილმა ხსენებული მშენებლობის ნებართვის კანონიერების დასადგენად განცხადება შეიტანა თბილისის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურში. ამჯერად უკვე ეს ორგანო დაადგენს აღნიშნული ნებართვის გაცემის კანონიერებას და ბატონი ელისაშვილის განცხადებების სიყალბეს. თბილისის არქიტექტურის სამსახური, საბურთალოს ქუჩა 63-ის მიმდებარედ გაცემულ მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებით დეტალურ ინფორმაციას საზოგადოებას უახლოეს ხანში მიაწვდის., – აღნიშნულია განცხადებაში.

მედიანიუსი

გერმანული პრესა ჯაბა იოსელიანის ხელისუფლების სათავეში ყოფნის პერიოდს გვიხსენებს

გერმანულ გაზეთ „Frankfurter Allgemeine Zeitung“-ში ავტორთა კოლექტივის (რეინჰარდ ვეზერი, მარკუს ვენერი, მატიას ვუზუვა) მიერ გამოქვეყნებული ვრცელი გამოკვლევა გერმანიაში ქართველი კრიმინალების დანაშაულებრივ საქმიანობას ასახავს.

Frankfurter Allgemeine
ZEITUNG FÜR DEUTSCHLAND

პუბლიკაციაში დეტალურადაა გადმოცემული იმ მრავალი ძარცვისა და ქურდობის დამადასტურებელი ფაქტები, რომლებიც ქართველმა იმიგრანტებმა გერმანიის სხვადასხვა მხარეში ჩაიდინეს, მაგალითად, რურში და ბავარიაში, სადაც ქართული ბანდის წევრებს აფთიაქების გაქურდვის გეგმა ჰქონდათ შემუშავებული. მათი ლიდერი ლევან კ. 2014 წლის ნოემბერში დააკავეს ქალაქ ბამბერგში, ძარცვის ადგილზე, „იგი გაქცევას შეეცადა და ყინულიან მდინარეში გადახტა, მაგრამ უშედეგოდ“.

სტატიაში ვრცლადაა საუბარი გერმანიის ფედერალური პოლიციის მიერ შეგროვებულ სტატისტიკურ მონაცემებზე. მაგალითად, 2014 წელს რეგისტრირებულია 3697 ქართული წარმოშობის დამნაშავე, 2015 წელს კი 4985, ანუ დანაშაულის რაოდენობამ 35%-ით მოიმატა. მხოლოდ მაღაზიების ძარცვით, მათ გერმანელებს 2014 წელს 370 მილიონი ევროს ზარალი მიაყენეს, 2015 წელს კი ზარალმა უკვე 500 მილიონს მიაღწია.

„ქართველები დანაშაულებრივი საქმიანობისათვის აქტიურად იყენებენ თავშესაფრის მიღების გერმანულ სისტემას. ამ ფონზე საქართველოდან იმიგრანტთა რაოდენობამ ბოლო წლებში კატასტროფულად („შვიდმილიანი ნაბიჯებით“) იმატა. თუ 2011 წელს თავშესაფრის მიღებას მხოლოდ 527 ქართველი ცდილობდა, 2012-ში მათი რაოდენობა 2486-მდე გაიზარდა, გასულ წელს კი 3196-ს მიაღწია. მიმდინარე წლის იანვრიდან მაისამდე კი თავშესაფრის მიღების 1141 კანდიდატი დაფიქსირდა.

რასაკვირველია, მათ მიღების არანაირი შანსი არ აქვთ, მაგრამ ბოროტად სარგებლობენ მდგომარეობით: საქმე იმაშია, რომ თავშესაფრის მიღების პროცესი საშუალოდ ცხრა თვემდე გრძელდება, არის 12-თვიანი შემთხვევებიც. ცხადია, თავშესაფრის მიცემაზე უარის თქმის შემდეგ მათ სამშობლოში აბრუნებენ ხოლმე. ამ მხრივ რეკორდი დამყარდა გასულ 2015 წელს, როცა 292 ადამიანი დააბრუნეს. ლოდინის პერიოდს ბევრი დანაშაულის ჩასადენად იყენებს.

ბავარიის პოლიციის მონაცემებით, ქართველი კრიმინალები გერმანიაში ე.წ. „კანონიერი ქურდების“ დავალებით არიან შეგზავნილი (პუბლიკაციაში მოცემულია „კანონიერი ქურდების“ წარმოშობის ისტორია საბჭოთა კავშირში, მათი ცხოვრების წესი, ტრადიციები და ა.შ. მასში აღნიშნულია, რომ ასეთი ქურდები განსაკუთრებით ბევრი იყო საქართველოში. პარადოქსული კურიოზია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ წლებში ქვეყანას „კანონიერი ქურდი“ ჯაბა იოსელიანი ხელმძღვანელობდა. ბევრი ქართველი „კანონიერი ქურდი“ დაიღუპა რუსეთში, 1990-იანი წლების შუახანებში).

2003 წელს, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მთავრობამ „კანონიერ ქურდებს“ (ანუ ორგანიზებულ დამნაშავეობას) ბრძოლა გამოუცხადა, 2003 წლიდან 2010 წლამდე ამგვარ პატიმართა რაოდენობა თითქმის სამჯერ გაიზარდა. საპყრობილეები ისე მოეწყო, რომ მასში გამომწყვდეულ კრიმინალურ ავტორიტეტებს სხვებზე გავლენის მოხდენა აღარ შეეძლოთ. 2005 წლის მარტში ულმობლად იქნა ჩახშობილი კრიმინალების ბუნტიც. ცნობილი ქურდების კუთვნილი სახლები და ქონება ზოგი გაიყიდა, ზოგი კი პოლიციის შენობად გადაკეთდა, ყველაზე გავლენიანი „კანონიერი ქურდები“ კი ევროპაში გაიქცნენ (საფრანგეთში, საბერძნეთში, ესპანეთში).

გამოკვლევაში საუბარია ქართველ „კანონიერ ქურდებზე“, მაგალითად, კახაბერ შ.-ზე, რომელიც გერმანიაში მოქმედ ქურდებში „ობშიაკს“ აგროვებდა.

როგორც ვრცელ პუბლიკაციაშია აღნიშნული, ქართველი კრიმინალების მოქმედება საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის დაწესების ერთ-ერთი ხელშემშლელი ფაქტორია. ავტორები იმოწმებენ გერმანიის ფედერალური პოლიციის წარმომადგენლებს, ბუნდესტაგის დეპუტატთა განცხადებებს. ზოგიერთი გერმანელი პოლიტიკოსი (ჩამოთვლილია ვინაობა) გახარებულია, რომ საქართველოსთვის ვიზალიბერალიზების საკითხის განხილვა გადაიდო. მასალაში აღნიშნულია, რომ საქართველოს ხელისუფლება ცდილობს კრიმინალებთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრას – გერმანიაში ვიზიტით იყო შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი, შემდეგ კი პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი...

პუბლიკაციის დასასრულს ავტორების მიერ გადმოცემულია გერმანიის რურის მხარეში მომხდარი ინცინდენტი: ქალაქ ბოხუმის სასამართლომ თითქმის ერთწლიანი განხილვის შემდეგ ქართული ბანდის ექვს წევრს თავისუფლების აღკვეთა სამიდან ექვს წლამდე მიუსაჯა. მიუხედავად იმისა, რომ უსაფრთხოების ზომები დაცული იყო, ბანდის მეთაურმა კახაბერიძემ, (მას 7,5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს), სანამ საპყრობილეში გადაიყვანდნენ, სასამართლოდან გაქცევა სცადა...

ნიუსპრესი

ომარ და თორნიკე ქაფიაშვილების ექსპერტიზის ამსახველი ფოტოების დათვალიერებისას მაგდა პაპიძე სასამართლო დარბაზიდან გაიყვანეს

გარდაცვლილი ომარ და თორნიკე ქაფიაშვილების ექსპერტიზის ჩატარების ამსახველი ფოტოების დათვალიერებისას ბრალდებული მაგდა პაპიძე სასამართლო დარბაზიდან გაიყვანეს.

ბრალდებულმა თავად ითხოვა, რომ არ დასწრებოდა აღნიშნული ფოტომასალის გამოკვლევას, რადგან შეუძლოდ იყო. ამ წუთებში ბრალდების მხარე საქმეზე მთავარ გამომძიებელს კითხავს, რომელიც დეტალურად აღწერს, თუ რა ვითარება დახვდათ შემთხვევის ადგილზე მისულ სამართალდამცველებს.როგორც გამომძიებელმა აღნიშნა, შემთხვევის ადგილზე მისვლისას მოკლულ ომარ ქაფიაშვილს ზედაპირულადაც აღენიშნებოდა თავის არეში დაზიანებები. როგორც გამომძიებელი განმარტავს, ქაფიაშვილს თავის ქალის ძვალი ჰქონდა დაზიანებული.

რაც შეეხება თორნიკე ქაფიაშვილს, გამომძიებლის ინფორმაციით, მას მხოლოდ ნაჭდევები აღენიშნებოდა, სხვა სახის დაზიანებები კი ზედაპირულად არ შეინიშნებოდა.

საქმის მთავარმა გამომძიებელმა პაატა ნოზაძემ ასევე აღნიშნა, რომ გარდაცვლილებს სეზონისთვის შეუფერებლად ეცვათ, რადგან, როდესაც შემთხვევის ადგილისა და გვამების დათვალიერება დაიწყეს, ტემპერატურა მინუს 3 გრადუსი იყო, ომარ ქაფიაშვილს კი ძალიან თხელი ტანსაცმელი, თორნიკე ქაფიაშვილს კი მოკლესახელოებიანი მაისური ეცვა.

გამომძიებლის ინფორმაციით, ომარ და თორნიკე ქაფიაშვილების ცხედრები სადარბაზოს წინ ომარ ქაფიაშვილის ავტომანქანის წინ აღმოაჩინეს.

– ომარ ქაფიაშვილის ცხედარს როგორც ზურგზე ასევე ტანსაცმელზე ეტყობოდა თრევის კვალი. მინუს სამი გრადუსი ყინვა იყო და შეუფერებლად აცვია, ფეხზე არ აცვია. დაზიანება მარჯვენა მხარეს თავში აქვს, სადაც ძვლის ფრაგმენტები ჩანდა. ყურიც დაზიანებული ჰქონდა. ბავშვს ნაცრისფერი მოკლემკლავიანი ზედა ეცვა. ისიც ოთახის პირობების ჩაცმულობით იყო.

ბავშვსაც არ ეცვა ფეხზე. ოთახის ცალი ჩუსტი თავთან ეგდო მეორე კი ავტომანქანაში. ავტომანქანაში აღმოჩნდა ომარ ქაფიაშვილის ფეხსაცმელიც. ბავშვს პირთან ჰქონდა ნაჭდევი. ტუჩის ადგილზე სიწითლე ეტყობოდა. ავტომანქანის „კარნიზზე“ და საბურავზე ომარ ქაფიაშვილის სისხლი აღმოჩნდა. დერეფანში აღმოჩენილი სისხლის კვალი კი შიგნიდან ოთახიდან გარეთ გადიოდა. ოთახში დივნის წინ არსებულ მაგიდის ქვეშ იყო მოწმენდილი სისხლის კვალი, რომელიც იატაკს ზოლად გასდევდა. საწოლზე თეთრეული ახალი გამოცვლილი იყო, – განაცხადა გამომძიებელმა.

ბათუმში ყოფილი მეუღლის განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის ბრალდებულზე ძებნა გამოცხადდა

ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ ყოფილი მეუღლის განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის ბრალდებულ ა.ტ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა და მის მიმართ ძებნა გამოცხადდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ მთავარი პროკურატურიდან აცნობეს, ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2016 წლის 10 ივნისს, დაახლოებით 22:00 საათზე, ბრალდებულმა ა. ტ.-მ ყოფილი მეუღლე ნ.ტ. მოტყუებით, მათი გარდაცვლილი საერთო ნაცნობის ოჯახისთვის მისამძიმრების მიზეზით მიიყვანა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ყოროლისთავის სასაფლაოს ტერიტორიაზე და განზრახ მკვლელობის მიზნით, ჩაქუჩის გამოყენებით თავისა და ხელის არეში მიაყენა სიცოცხლისთვის სახიფათო მრავლობითი დაზიანებები, შემდეგ კი სარფის საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით საქართველო დატოვა და მიიმალა.

„ნ. ტ. 2016 წლის 11 ივნისს დილის საათებში შემთხვევის ადგილზე იქნა აღმოჩენილი. გადაუდებელი სამედიცინო დახმარების შედეგად იგი სიკვდილს გადაურჩა. ა. ტ. -ს დაუსწრებლად წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111-19-108-ე მუხლით. წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახედ და ზომად თავისუფლების აღკვეთას შვიდიდან თხუთმეტ წლამდე ითვალისწინებს“, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

სტრასბურგის სასამართლომ ავიაციის დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარის ზურაბ ჭანკოტაძის საქმეზე განაჩენი გამოიტანა

სტრასბურგის სასამართლომ საქართველოს ავიაციის დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარის ზურაბ ჭანკოტაძის საქმეზე განაჩენი გამოიტანა.

როგორც ვერდიქტშია ნათქვამი, საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილება ჭანკოტაძის სისხლის სამართლის წესით გასამართლებაზე არღვევს ადამიანის უფლებების შესახებ კანონს.

სტრასბურგის სასამართლოს განაჩენით, საქართველომ ზურაბ ჭანკოტაძეს უნდა გადაუხადოს 20.000 ევროს მატერიალური ზიანის ანაზღაურების სახით და 15.000 ევრო ხარჯების კომპენსაციის სახით.

ადამიანის უფლებების ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ზურაბ ჭანკოტაძის საქმეში დარღვეულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მეექვსე მუხლის პირველი პუნქტი (თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება) და მეექვსე მუხლის პირველი პუნქტი (სამართლიანი სასამართლოს უფლება).

ავიაციის დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე ზურაბ ჭანკოტაძე სამართალდამცველმა ორგანოებმა 2004 წლის მარტში თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით დააკავეს.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიები ფართოვდება

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიები ფართოვდება – თბილისისა და ქუთაისის სასამართლოებს, ბათუმის, რუსთავის, ზუგდიდის, თელავისა და გორის სასამართლო დაემატება.

აღნიშნულთან დაკავშირებით ცვლილებები „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ შედის, რომელიც მთავრობის ინიციატივაა და მას პარლამენტი დაჩქარებული წესით იხილავს.

მთავრობის საპარლამენტო მდივნის შალვა თადუმაძის ინფორმაციით, სამოქმედო ტერიტორიების გაზრდა სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკას შეესაბამება, სადაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო როგორც დიდ ქალაქებში, ასევე რაიონულ ცენტრებში მოქმედებს.

ცვლილებები ნაფიც მსაჯულთა შერჩევის კრიტერიუმებზეც გავრცელდება – მცირდება იმ შეზღუდვების ჩამონათვალი, რომელიც პიროვნების ნაფიც მსაჯულად შერჩევის ზღუდავდა. კერძოდ, ჩამონათვალიდან ამოდის განსაზღვრული პროფესიების წარმომადგენლები, როგორებიცაა: გამომძიებელი, პოლიციელი, იურისტი, ფსიქოლოგი და ფსიქიატრი.

საკანონმდებლო ცვლილებებს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი და იურიდიულ საკითხთა კომიტეტი განიხილავს.

ინტერპრესნიუსის ინფორმაციები

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

რუსეთის გენშტაბი სირიის ოპოზიციას ემუქრება

რუსეთის არმიის გენერალური შტაბის ხელმძღვანელმა ვალერი გერასიმოვმა განაცხადა, რომ სირიის ოპოზიცია, რომელიც ამერიკელთა კონტროლქვეშ იმყოფება, პროვოკაციულად იქცევა და სამშვიდობო პროცესი სწორედ მან ჩაშალა.

– მსურს განვაცხადო, რომ მოთმინება ამერიკელებს კი არა, ჩვენ გველევა და თუკი ასე გაგრძელდა, ამერიკის დაზვერვა სირიაში და მისი მოსამსახურე სირიული ოპოზიციაც განადგურებული იქნება, – განაცხადა გერასიმოვმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

თავდასხმა დონალდ ტრამპზე

ლას-ვეგასში დონალდ ტრამპის წინასაარჩევნო მიტინგი გაიმართა. მისი დასრულების შემდეგ მიტინგის მონაწილე ახალგაზრდა კაცი ტრამპთან მივიდა და ავტოგრაფი მოსთხოვა. მოულოდნელად ახალგაზრდა საიდუმლო სამსახურის ოფიცერს ეძგერა და პისტოლეტის წართმევა დაუპირა.

ის მყისვე დააკავეს.

დაკითხვაზე გამოირკვა, რომ ახალგაზრდის გვარია სენფორდი. ის 19 წლისაა.

– ტრამპი დაღუპავს ამერიკას, ამიტომ მისი მოკვლა სამშობლოს ხსნაა, – აცხადებს სენფორდი.

დაკავებულმა განაცხადა, რომ მკვლელობის გეგმა წინასწარ მოიფიქრა.

– დიდხანს ვყოყმანობდი, სად განმეხორციელებინა თავდასხმა, ლას-ვეგასში თუ სხვაგან. ბოლოს ვეგასზე შევჩერდი, – თქვა მან.

სენფორდმა კატეგორიულად უარყო, რომ მის უკან რომელიმე ორგანიზაცია იდგა.

– მე მარტო ვიყავი. ტრამპის მოკვლის გადაწყვეტილებაც დამოუკიდებლად მივიღე, – თქვა მან.

ახლა სენფორდი ციხეში იმყოფება. მას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

ხორვატიის პარლამენტმა თვითდაშლის გადაწყვეტილება მიიღო

ხორვატიის პარლამენტმა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით თვითდაშლის გადაწყვეტილება მიიღო. პარლამენტმა თხოვნით მიმართა პრეზიდენტ გრაბარ კიტაროვიჩს, რომ ახალი არჩევნები დანიშნოს.

ხორვატიის პარლამენტის სპიკერმა აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება თვითდაშლის შესახებ ძალაში 16 ივლისს შევა, ვადამდელი არჩევნები კი შემოდგომაზე ჩატარდება.

ხორვატიის პრეზიდენტმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ დეპუტატების თხოვნას გაითვალისწინებს და ვადამდელ არჩევნებს დანიშნავს.

„სანამ საქართველო და ამერიკა ერთად იქნებიან, მათ ვერაფერი გატეხს“

„თავისუფლების მოკავშირე – 2016“ – ეს ტიტული საქართველოს სამხრეთ კაროლინის შტატის დედაქალაქ კოლუმბიაში 18 ივნისს მიანიჭეს. საქართველო პირველი ნატოს არაწევრი ქვეყანაა, რომელიც ამ სტატუსს ფლობს. ღონისძიება ამერიკის კონგრესმენის ჯო უილსონის მხარდაჭერით ორგანიზაცია „თავისუფლების ფონდმა“ განახორციელა. საზეიმო ცერემონიას ყოფილი მაღალი რანგის სამხედრო მაღალჩინოსნები დაესწრნენ.

ამის შესახებ ამერიკული რადიოსადგური „Radio Voice of America“ იუწყება.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის რეზიუმეს:



გადამდგარმა ადმირალმა და დღეს საქართველოს საპატიო კონსულმა სამხრეთ კაროლინაში დევიდ შიმპმა ცერემონიის გახსნისას სულხან-საბას ორბელიანის იგავი „ძალა ერთობაშია“ მოუყვა და თქვა, რომ თუ საქართველო და ამერიკა ერთად გააგრძელებენ განვითარებას, მათ, ისრების კონის მსგავსად, ვერაფერი გატეხს.

სიტყვით გამოსვლისას მან ასევე დასძინა, „ყველა ნამდვილი ამერიკელი სამშობლოს სიყვარულს საკუთარ თავზე წინ აყენებს. ყველა ნამდვილი ამერიკელი გულით ქართველია – მე ამას გულახდილად ვამბობ.“

თავისუფლების მოკავშირე 2016 ჯილდო საქართველოს ელჩს არჩილ გეგეშიძეს კონგრესმენმა ჯო უილსონმა გადასცა. სამახსოვრო დაფაზე წერია: გადაეცემა ქართველ ხალხს და საქართველოს ლიდერებს სამაგალითო და მამაცური ბრძოლისთვის თავისუფლებისა და დემოკრატიის დაცვაში. დაფის ასლი საქართველოს ჯარის დაფასების მიზნით კონგრესმენმა სამხედრო ატაშეს ვეფხვია ჩალაბაშვილსაც გადასცა.

„ჩემთვის დიდი პატივია დღეს აქ ყოფნა და საქართველოს და ქართველი ხალხის დაფასება. ამის მიზეზი ნათელია. გასულ წელს ავღანეთში ყოფნის დროს, ამერიკელ ჯარისკაცებთან ერთად ქართველ ჯარისკაცებს შევხვდი. მე ძალიან ვაფასებ იმას, რომ ქვეყანა, რომელსაც ჩვენ შემდეგ სიდიდით მეორე უმსხვილესი კონტინგენტი ჰყავს ავღანეთში, საქართველოა“, – განაცხადა „ამერიკის ხმასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში კონგრესმენმა ჯო უილსონმა. მან ასევე დასძინა, „ბევრს მიაჩნია, რომ საქართველო შავ ზღვაზე მდებარე პატარა ქვეყანაა. არა! საქართველო შავ ზღვაზე მდებარე ძალიან მნიშვნელოვანი ქვეყანაა, სადაც არაჩვეულებრივი ხალხი ცხოვრობს.“

საქართველოს მომავალზე საუბრისას კონგრესმენმა თქვა, რომ ის ქვეყნის ნატოსთან დაახლოებაზე დიდ იმედებს ამყარებს:

„შარშან თბილისში ვიყავი. შევხვდი მოსახლეობას, სამხედრო მაღალჩინოსნებს, მთავრობის წარმომადგენლებს. სამწუხაროდ, ასევე ვეწვიე ადმინისტრაციულ საზღვარს, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ აგრესიაზე ყოველდღე გვახსენებს. ვფიქრობ, ნატოსთან დაახლოება წინ მიიწევს და ისე, როგორც აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნები, საქართველოც მალე გახდება ნატოს წევრი.“

კონგრესმენი ამბობს, რომ საქართველო ამერიკის ერთ-ერთი საუკეთესო მოკავშირეა და მან ეს პირადად გამოსცადა:

„ჩემი ოთხი ვაჟიდან სამი ჯარისკაცია და ისინი ავღანეთში და ერაყში ქართველების გვერდით იბრძოდნენ. მე მათგან ვიცი, რომ ქართველი ჯარისკაცები საუკეთესოები არიან. ისინი ნამდვილი პატრიოტები არიან.“

გადამდგარი ადმირალი დევიდ შიმპი (რომელსაც მანქანაზე ქართულ ენაზე „მე მიყვარს ღვინო“ წარწერა აქვს მიკრული, ხოლო მანქანის წინა მხარეს, მრგვალ სამარკო ნიშანზე საქართველოს დროშა აქვს დაკრული) ამბობს, რომ საქართველოში ჩასვლისას ისეთი შეგრძნება აქვს, რომ სახლში დაბრუნდა. მისი თქმით, ქართველები არა მხოლოდ სამაგალითო მეგობრობის გამო უნდა დააფასოს ყველამ, არამედ იმისთვისაც, რომ ქვეყანამ ბევრი რამ გააკეთა მსოფლიო არენაზეც.

„ქართველებმა საკუთარი სისხლი ამერიკელებთან ერთად ბრძოლის ველზე დაღვარეს. ეს ჩვენს შორის ძმობას კიდევ უფრო აღრმავებს. ეს ჯილდო საქართველოსთვის დიდი ხნის წინ უნდა მიგვეცა. კონგრესმენი უილსონის დახმარებით, ჩვენ დღეს ეს შევძელით,“ – თქვა ადმირალმა.

„თავისუფლების ფონდის“ პრეზიდენტი ჯონ ლავლედი საქართველოს ყველა სხვა მოკავშირე ქვეყნისგან განასხვავებს. ის ამბობს, რომ საქართველო ნატოს არაწევრი პირველი ქვეყანაა, რომელსაც ფონდმა ეს ჯილდო გადასცა. „თავისუფლების ფონდი“ ამ პრესტიჟული ჯილდოს მიმღებ ქვეყანას კონგრესთან კონსულტაციებით არჩევს:

„საქართველო იმის გამო შევარჩიეთ, რომ ის დემოკრატიისა და თავისუფლების იმ ღირებულებებს იცავს, რომლებისაც ჩვენ ასე გვჯერა. ამასთან, საქართველო ჩვენს გვერდით ტერორიზმთან ერთ-ერთი ყველაზე დიდი კონტინგენტით იბრძვის, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ნატოს წევრი არ არის“.

ამერიკის არმიის გადამდგარი გენერალი ჯონ ლენტი, რომელიც ამჟამად „თავისუფლების ფონდის“ უფროსი აღმასრულებელი ოფიცერია, ამბობს, რომ საქართველოს ძალიან დიდ პატივს სცემს. „მეამაყება ის, რომ ისეთ ქვეყანასთან მაქვს ურთიერთობა, რომელმაც თავისუფლების ფასი იცის. თქვენ საუკუნეების მანძილზე ებრძოდით მტრებს. ხართ პატარა ქვეყანა და გიწევთ თავი გაართვათ რუსეთს, ქვეყანას, რომელიც ცდილობს, რაც დაკარგა, ძალით დაიბრუნოს.“

ამერიკის რამდენიმე სამხედრო ჯილდოს, მათ შორის, ვერცხლის ვარსკვლავის და იასამნისფერი გულის (ბრძოლის ველზე გამოჩენილი სიმამაცისთვის უმაღლესი სამხედრო ჯილდო) მფლობელი, გადამდგარი გენერალი ლენტი ამბობს, რომ საქართველო უდავოდ იმსახურებს საუკეთესო მოკავშირის ტიტულს: „თქვენ ავღანეთში 50-მდე ჯარისკაცი დაკარგეთ, 500-ზე მეტი დაიჭრა, ზოგიერთს კიდურების ამპუტირება დასჭირდა. თქვენ კარგად იცით თავისუფლების ფასი. ამიტომაც, ჩემთვის, საქართველო უდავოდ საუკეთესო მოკავშირეა“.

ნიუსპრესი

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 593 50-16-08.

● ვყიდი ხის ფანჯრებს. ტელ: 557-68-83-43.

მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

მკურნალობა მამაკაცებისთვის!

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

ქართველი ჩოგბურთელი ნიკოლოზ ბასილაშვილი, რომელსაც ჯერ კიდევ აქვს რიო დე ჟანეიროში გასამართი ოლიმპიადის საგზურის მოპოვების შანსი, ბედს ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ტურნირზე, უიმბლდონზე ცდის.

ქართველი ჩოგბურთელი, რომელიც რეიტინგშია 105-ე ჩოგანია, უიმბლდონის საკვალიფიკაციო ბადიდან იწყებს და შეეცდება რეიტინგში წინსვლას, რაც ოლიმპიურ საგზურს მოუტანს.

საკვალიფიკაციოში ჩვენებურს ბადეც კარგი შეხვდა და დიდი შანსი აქვს, ძირითად ბადეშიც ამოყოს თავი. ეს აუცილებელიც არის, რადგან შარშანდელ უიმბლდონზე ბასილაშვილმა, ჯამში, 5 მატჩის მოგება მოახერხა, ამდენად, ქულათა დიდი რაოდენობა აქვს დასაცავი. ნიკოლოზმა 3 გამარჯვება კვალიფიკაციაში მიითვალა, შემდეგ კი ძირითად ბადეში არგენტინელ ფაკუნდო ბანისსა და ესპანელ ფელისიანო ლოპესს სძლია და მხოლოდ მე-3 წრეში დამარცხდა კიდევ ერთ ესპანელ რობერტო ბაუტისტა აგუტთან.

პატარა ბორჯღალოსნებმა იტალიას მოუგეს

საქართველო – იტალია 18:17

საქართველოს 20 წლამდე ნაკრებმა სადებიუტო მსოფლიოს ჩემპიონატზე ისტორიული პირველი გამარჯვება იზეიმა. პატარა ბორჯღალოსნებმა იტალიელი თანატოლები 18:17 დაამარცხეს და კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი საქართველოში რაგბის პროგრესირებას. ამ მოგებით ქართველებმა ერთგვარი მესიჯიც კი გაუგზავნეს რაგბის მესვეურებს – არ შეწყვიტოთ ჩვენი ზრდა და მოგვეცით უფრო ფართო ასპარეზი.

თუ ეროვნული ნაკრების ოკეანეთის ტურნესაც გადავხედავთ, ეს მესიჯი რაგბის ჩინოვნიკებმა ყურად უნდა იღონ.

ანგარიშმა არ მოგატყუოთ: ქართველებს დიდი უპირატესობა ჰქონდათ და რომ არა ის შეცდომები, რაზეც ირლანდიელებთან მატჩის შემდეგ ვწერდით, სხვაობა უფრო დიდი იქნებოდა.

პირველ რიგში, უნდა გამოვყოთ დამრტყმელთა ცუდი მიზანი. მარტო საჯარიმოებითა და გარდასახვებით ჩვენებმა მეტოქეს 15 ქულა აჩუქეს, ხოლო ერთი ღელო ბოლო წამს გაუშვეს და სხვაობაც ამიტომ ჩანს პატარა.

კვლავ აქილევსის ქუსლად რჩება დერეფანი. თუმცა, მატჩის გახურებასთან ერთად, ესეც გამოსწორდა და რამდენი დერეფანიც მოვიგეთ, იმდენი ხიფათი შევქმენით.

აღარ გვინდა ამ ისტორიულ მატჩში ჩვენი გუნდის სუსტ წერტილებზე საუბარი, რადგან მთლიანობაში შედეგი მიღწეულია, დანარჩენებზე კი მწვრთნელები იმსჯელებენ.

მოკლედ, ექსპერტთა აზრი, რომ საქართველო, ბოლო, მე-12 ადგილს დაიკავებდა, არ გამართლდა. ჩვენები მე-9 ადგილისთვის საფრანგეთს შეხვდებიან და უარეს შემთხვევაში მე-10 ადგილს დაიკავებენ, ხოლო ელიტაში დარჩენისთვის იტალია და იაპონია შეერკინებიან ერთმანეთს.

შეგახსენებთ, რომ ჩვენებს ბოლო ადგილის დაკავების შემთხვევაშიც არ ემუქრებოდათ ელიტიდან გავარდნა, რადგან მორიგი მსოფლიო თასი საქართველოში ტარდება. თუმცა, პატარა ბორჯღალოსნებმა დაამტკიცეს, რომ მათ შეღავათები არ სჭირდებათ.

ევროპირველობამ უკრაინელთა მწვრთნელიც იმსხვერპლა

ევროპის 2016 წლის ჩემპიონატის შემდეგ კიდევ ერთმა მწვრთნელმა დატოვა თანამდებობა – უკრაინის ფეხბურთელთა ეროვნულ გუნდს ახალი მთავარი მწვრთნელი ეყოლება.

მიხაილ ფომენკომ განაცხადა, რომ პოლონეთთან მატჩის მერე თანამდებობას დატოვებს.

67 წლის ფომენკოს სავარაუდო შემცვლელად ლეგენდარული უკრაინელი ფეხბურთელი ანდრეი შევჩენკო სახელდება, რომელიც ამჟამად ნაკრების შტაბში მუშაობს.

უელსმა რუსეთს გადაურბინა, ინგლისმა სლოვაკეთს შანსი დაუტოვა

სლოვაკეთი-ინგლისი 0:0

სენტ ეტიენი. ჟოფრუა-გიშარი

სლოვაკეთი: კოზაჩიკი, შკრტელი, ჰუბოჩანი, პეკარიკი, დიურიცა, ჰამშიკი, კუცკა, პეჩოვსკი (დიომბერი 67), დუდა (შვენტო 57), ვაისი (შკრინიარი 78), მაკი

ინგლისი: ჰარტი, კეჰილი, ბერტრანდი, კლაინი, სმოლინგი, დაიერი, ლალანა (ალი 60), ჰენდერსონი, უილშირი (რუნი 56), სტარიჯი (კეინი 76), ვარდი

ბ ჯგუფის ფავორიტი ინგლისის ნაკრები ამ ოთხეულში პირველ ადგილზე ვერ გავიდა, მაგრამ დასახული გეგმის მინიმუმი კი შეასრულა. ინგლისელებს სლოვაკებთან უგოლო ფრეც ეყოთ, შემდეგ ეტაპზე გასულიყვნენ.

ინგლისელთა მინუსი ჯგუფურ ეტაპზე მომენტების რეალიზაცია აღმოჩნდა, თორემ მარტივად შეეძლოთ კვარტეტში პირველობა. როი ჰოჯსონის შეგირდებმა საკმაო მომენტი შექმნეს ჯგუფურ ეტაპზე, მაგრამ ამაოდ. ასევე ძალიან დააკლდათ რუსეთთან ბოლო წუთზე გაშვებული გოლი, ხოლო სლოვაკებთან მატუშ კოზაჩიკის ჩინებული თამაში.

კოზაჩიკის გარდა, სლოვაკებს მშველელად მარტინ შკრტელიც მოევლინა, როდესაც დაუცველი კარიდან ალის დარტყმული ბურთი გამოიტანა.

რაც შეეხება სლოვაკებს, უგოლო ფრე დიდად არ გახარებიათ, რადგან ჯგუფში მე-3 ადგილი დაიკავეს. თუმცა, მათი მაქსიმუმიც ეს იყო, ამასთან, 4 ქულით სავსებით რეალურია, პლეი ოფში აღმოჩნდნენ, მით უფრო, რომ ორიდან ერთ გუნდს, ალბანეთს, უკვე აჯობეს.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – მატუშ კოზაჩიკი.

სლოვაკები წაგების შემთხვევაში საქმეს ხიფათში ჩაიგდებდნენ. ფრემ კი მათი შანსები გაზარდა და ამაში დიდი წვლილი მიუძღვის მეკარეს. კოზაჩიკი საიმედოდ იდგა კარში და გადაარჩინა თავისიანები, როდესაც მცველები უძლურნი იყვნენ ინგლისელთა წინააღმდეგ. არადა, ნაკრების ძირითადი მეკარე შემთხვევით გახდა.

როი ჰოჯსონი:

– ძალიან იმედგაცრუებულნი ვართ. თამაშს კვლავ ვაკონტროლებდით, საგოლე მომენტები საკმაოდ შევქმენით, მაგრამ ვერ მოვიგეთ. თუმცა, მჯერა რომ გოლები მოვა.

იან კოზაკი:

– მატჩი საკვალიფიკაციო ეტაპზე ესპანელებთან შეხვედრის მსგავსი იყო. ძალიან ძლიერი მეტოქე გვყავდა. ინგლისელებმა შემტევი სასტარტო შემადგენლობა დააყენეს. ჩვენ იძულებული ვიყავით, თავი დაცვიდან გვეთამაშა. ქულის მოპოვებას ძალიან ვცდილობდით, რათა პლეი ოფში გასვლის შანსი არ დაგვეკარგა.

ხუსეთი-უელსი 0:3

ტულუზა. სტადიუმ-დე-ტულიზი

0:1 რემზი (11), 0:2 ტეილორი (20), 0:3 ბეილი (67)

რუსეთი: აკინფეევი, ვ.ბერეზუცკი (ა.ბერეზუცკი 46), იგნაშევიჩი, სმოლნიკოვი, კომბაროვი, შიროკოვი (გოლოვინი 52), მამაევი, გლუშაკოვი, სმოლოვი (სამედოვი 70), კოკორინი, ძიუბა

უელსი: ჰენესი, განტერი, ტეილორი, ეშლი უილიამსი, ჩესტერი, დევისი, ბეილი (ჩერჩი 83), ლედლი (კინგი 76), ალენი (ედუარდსი 74), რემზი, ვოუკსი

რუსეთის ნაკრებზე ვერაფერს ვიტყვით – ასე უსუსურად ალბათ ამ ევროპირველობაზე არავინ გამოსულა. უელსელებმა კი ისარგებლეს ინგლისელთა ფეხის დაცდენით და ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდნენ.

მატჩზე კი რა უნდა ვთქვათ? უელსელებმა „გადაურბინეს“ მეტოქეს და, 3 გოლის გარდა, იმდენი მომენტი შეექმნათ, რომ ყველას გამოყენების შემთხვევაში ორნიშნა ციფრამდე ავიდოდნენ.

ვალიელები თამაშობდნენ ლაღად, თითქმის უშეცდომოდ. ერთადერთი შემთხვევა იყო, როდესაც დაცვა ჩავარდა და ძიუბამ ახლო მანძილიდან ვერ გაიტანა. ამ დროს ანგარიში უკვე 2:0 იყო.

მთლიანობაში უელსის ნაკრებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ეს გუნდი საქართველოს ნაკრების ჯგუფშია 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე და მათი ცოცხლად ხილვაც მოგვიწევს.

ცხადია, ისევ გაიტანა გარეთ ბეილიმ, რომელსაც უკვე 3 გოლი დაუგროვდა და ბომბარდირთა დავას ლიდერობს.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – გარეთ ბეილი.

მთელი მატჩის განმავლობაში აწიოკებდა და დასცინოდა რუსების დაცვას. კარისკენ მუდამ მიმართული იყო და საკმაოდ ბევრჯერაც დაარტყა აკინფეევის კარში, მაგრამ რუსთა მეკარემ ერთზე მეტი არ გაატანინა. თუმცა, ამას არ შეუშლია ხელი, ბეილი საუკეთესოდ დაგვესახელებინა. საერთოდაც, უელსელი ბრწყინვალედ ატარებს ევროპირველობას და ჯერჯერობით ერთ-ერთი საუკეთესოა.

კრის კოულმენი:

– ჩვენი მთავარი მიზანი იყო, პლეი ოფში გავსულიყავით. როდესაც ჯგუფში მეტოქეებად ინგლისი, რუსეთი და სლოვაკეთი გყავს, ამის გაკეთება რთულია. ბოლო ტურამდე ბრძოლა მოგვიწია და ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რამდენად რთული ჯგუფი იყო.

ლეონიდ სლუცკი:

– ასეთი ტურნირის მერე აუცილებელია, რომ მომავალი სტარტებისთვის გუნდი სხვა ადამიანმა მოამზადოს. ყველაფრის თქმა შეიძლება. მსურს, მოვუბოდიშო გულშემატკივრებს, რომლებიც მხარს კარგად გვიჭერდნენ. ძალიან გული გვწყდება, რომ ნდობა ვერ გავამართლეთ და ევროპის ჩემპიონატს უსახელოდ ვტოვებთ.

საბოლოო ცხრილი:

1.უელსი	3	2	0	1	6:3	6
2.ინგლისი	3	1	2	0	3:2	5
3.სლოვაკეთი	3	1	1	1	3:3	4
4.რუსეთი	3	0	1	2	2:6	1

მოამზადა მისეულ ჟორჟოლიანმა

„ქართველებმა გერმანიაში 4.985 მაღაზია გაქურდეს“ რას წერს ფრანკფურტერ ალგემაინე ქართველ კრიმინალებზე

გერმანული გამოცემა ფრანკფურტერ ალგემაინე გერმანიაში საქართველოს მოქალაქეების დანაშაულებრივ ქმედებებს ვრცელ სტატიას უძღვნის.

გამოცემის თანახმად, თუ 2014 წელს საქართველოს მოქალაქეების მონაწილეობით 3.697 მაღაზიის ქურდობის ფაქტი მოხდა, უკვე 2015-ში ეს რიცხვი 35%-ით, 4.985-მდე გაიზარდა.

გერმანიის კრიმინალური პოლიციის მონაცემებით, 2014 წელს საქართველოს მოქალაქეების მიერ მიყენებულმა ზარალმა – 370 მილიონი, 2015 წელს კი 500 მილიონი ევრო შეადგინა.

გაზეთი წერს, რომ ხშირად კრიმინალები საქართველოდან იყენებენ თავშესაფრის მიღების გერმანულ სისტემას. მაგალითად, თუ 2011 წელს თავშესაფრის მიღებაზე განაცხადი საქართველოს 527-მა მოქალაქემ შეიტანა, 2012 წელს ამ რიცხვმა 2.486, 2015 წელს კი 3.196 შეადგინა.

მიმდინარე წლის დასაწყისიდან მაისის ჩათვლით კი გერმანიაში თავშესაფრის მიღების განაცხადი საქართველოს 1.141-მა მოქალაქემ შეიტანა. ამასთანავე, წელს გერმანიამ თავშესაფარი მხოლოდ საქართველოს ერთ მოქალაქეს მისცა.

გერმანიაში თავშესაფრის მაძიებელთა განაცხადის განხილვის პროცედურა 12 თვემდე გრძელდება, ფრანკფურტერ ალგემაინეს თანახმად, ხშირად საქართველოს მოქალაქეებს განაცხადი შეაქვთ მხოლოდ იმ მიზნით, რომ გერმანიაში რამდენიმე თვის განმავლობაში დარჩნენ.

– ჩვენ გვაქვს ეჭვი, რომ მათი ნაწილი იყენებს გერმანიაში კანონიერად ყოფნის პერიოდს იმისთვის, რომ აქ დანაშაული ჩაიდინოს, – აცხადებს გამოცემასთან საუბარში კრიმინალური პოლიციის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების ხელმძღვანელი მიქაელ ნაგელი.

გაზეთი წერს, რომ იმ განაცხადების შინაარსი, რომლებიც საქართველოს ზოგიერთ მოქალაქეს შეაქვს, ნათლად ადასტურებს ამ ეჭვებს.

მაგალითად, ერთ-ერთი მათგანი თავშესაფრის მიღებაზე განაცხადის შევსებისას წერს, რომ საქართველოში მწყემსი იყო, შემდეგ მას 5 ცხვარი მოჰპარეს, მის ფარას ავტომობილი შეეჯახა, რის გამოც გერმანიაში მოუხდა წასვლა.

გერმანიის სამართალდამცავ უწყებებში აცხადებენ, რომ მსგავსი განაცხადები საქართველოს მოქალაქეებისთვის დამახასიათებელია.

ფრანკფურტერ ალგემაინე აღნიშნავს, რომ თავშესაფრის მიცემაზე უარის შემთხვევაშიც კი გერმანიაში დარჩენის შესაძლებლობა მაღალია. მაგალითად, ბოლო 5 წლის განმავლობაში გერმანიიდან გააძევეს მხოლოდ 300 ქართველი, რომელსაც თავშესაფარზე უარი უთხრეს.

გაზეთის თქმით, ქართველი კრიმინალები ძალზე პროფესიონალურად მოქმედებენ, ყველაზე ხშირად იპარავენ ალკოჰოლს, თამბაქოს ნაწარმს, ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, კოსმეტიკასა და ელექტროხელსაწყოებს.

მოპარული ნივთების ნაწილს ყიდიან შავ ბაზარზე, მეორე ნაწილი კი საქართველოში საჰაერო და სახმელეთო გზით იგზავნება. **ინტერპრესნიუსი**

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

რაზე მიგვანიშნებს სისხლის მაჩვენებლები



სისხლის საერთო ანალიზისთვის სისხლს ვენიდან ან თითიდან იღებენ. აუცილებელია უზმოზე, რადგან უმნიშვნელო შაქრის რაოდენობამაც კი შესაძლოა საერთო ანალიზის არასწორი შედეგები მოგვცეს.

საინტერესოა, რას გვეუბნება სისხლი? გთავაზობთ სისხლის 9 ყველაზე მნიშვნელოვან მაჩვენებლებს, რომლის კონტროლის გარეშეც არ ხდება არცერთი დაავადების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროცესი.

ჰემოგლობინს ერითროციტები შეიცავს და მის უმთავრეს ფუნქციას წარმოადგენს ფილტვებიდან ჟანგბადის მიტანა სხვადასხვა ქსოვილებამდე.

ჰემოგლობინის ნორმალური მაჩვენებელი კაცებში 130-160 გ/ლ ქალებში კი 120-140 გ/ლ. თუ ჰემოგლობინი დაბალია შესაძლოა ადამიანს ანემია ან შინაგანი ორგანოების ფარული სისხლდენა ჰქონდეს. დაბალი ჰემოგლობინი, როგორც წესი თან ახლავს სისხლის სხვადასხვა დაავადებებს და გულის უკმარისობას.

ერითროციტები სისხლის წითელი ბურთულებია, რომლებიც ჰემოგლობინს შეიცავს. მისი ნორმალური მაჩვენებელი მამაკაცებში 4.0-5.1, ქალებში კი – 3.7-4.7 ერითროციტების გადაჭარბებული მაჩვენებელი ხშირია, როდესაც ადამიანი მაღლა მთაში იმყოფება. ასევე გულის დეფექტების, ბრონხების, ფილტვების, ღვიძლისა და თირკმელების დაავადებებისას.

ერითროციტების ჭარბი რაოდენობა შესაძლოა გამოწვეული იყოს ორგანიზმებში სტეროიდული ჰორმონების დიდი რაოდენობით გამოყენებით. ერითროციტების ორგანიზმში დაბალი მაჩვენებელი შესაძლებელია დაფიქსირდეს ანემიის, დიდი დოზით სისხლის დაკარგვის, ქრონიკული ანთებითი პროცესებისა და ორსულობის დროს.

სისხლის თეთრი სხეულები ძვლის ტვინსა და ლიმფურ კვანძებში წარმოიქმნება. ის იცავს ორგანიზმს გარე ფაქტორების ზემოქმედებისგან. ლეიკოციტების ნორმალური მაჩვენებელი ყველასთვის ერთია 4.0-9.0. სისხლში მისი მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს ორგანიზმში ინფექციის ან ანთების არსებობას.

ხშირად ლეიკოციტების დიდი რაოდენობა შეიძლება გამოწვიოს ფიზიკურმა დატვირთვამ ან ორსულობამ, თუმცა არსებობს დაავადებათა ჩამონათვალი, რომლის დროსაც აუცილებლად შეხვდებით ლეიკოციტების მაღალ მაჩვენებელს. ესენია: ბაქტერიული ინფექციები, ანთებითი პროცესები, ალერგიული რეაქციები, ლეიკემია, ზოგიერთი ჰორმონალური და გულის პრეპარატები. ლეიკოპენია ანუ სისხლში ლეიკოციტების ნაკლებობა შეიძლება გამოიწვიოს ვირუსულმა ინფექციებმა (მაგალითად გრიპმა) და ზოგიერთი წამლის მიღებამ, როგორიცაა ანალგეტიკები და კრუნჩხვების საწინააღმდეგო პრეპარატები.

თრომბები – უჯრედები, რომლებიც სისხლის შედედებაზეა პასუხისმგებელი, მონაწილეობენ თრომბების წარმოქმნის პროცესში. ადამიანში მისი ნორმალური მაჩვენებელია – (180-320). თრომბოციტების ნორმაზე მაღალი მაჩვენებელი შეასძლოა გამოიწვიოს ტუბერკულოზმა, წყლულოვანმა კოლიტმა და ღვიძლის ციროზმა. სისხლში თრომბოციტების დიდი რაოდენობა შესაძლოა გამოიწვიოს პოსტოპერაციულმა მდგომარეობამ და ზოგიერთმა ჰორმონალურმა პრეპარატმა.

მისი ნაკლებობა სისხლში გამოწვეულია ალკოჰოლით, მძიმე მეტალებით მოწამვლით, სისხლის დაავადებებით, თირკმელების უკმარისობით, ღვიძლის და ელენთის დაავადებებით და ასევე ჰორმონალური დარღვევებით. თრომბოციტების დაბალი მაჩვენებელის მიზეზი შეიძლება ზოგიერთი მედიკამენტიც გახდეს, როგორიცაა ანტიბიოტიკები, შარდმდენები, დიგოქსინი, ნიტროგლიცერინი და ჰორმონები.

ედს – ერითროციტების დალექვის სიჩქარის მაჩვენებელია. იგი ავადმყოფობის მთელ პროცესს აღწერს. ედს იზრდება ავადმყოფობიდან 2-4 დღეში და პიკს აღწევს გამოჯანმრთლეების დროს. კაცებისთვის ედს ნორმაა – 2-10მმ.სთ-ში და ქალებში კი – 2-15მმ-სთ-ში. ედს მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება ინფექციების, ანთებითი პროცესების, ანემიის, თირკმელების დაავადებების, ჰორმონალური დარღვევების, მენსტრუაციული პერიოდის, ტრამვული შოკის, ოპერაციების, ორსულობისა და მის შემდგომი პერიოდის დროს. დაბალ მაჩვენებელს იწვევს ანაფილაქსური შოკი.

ჯანსაღ ორგანიზმში გლუკოზის შემცველობა უნდა იყოს 3,5-6,5 მოლ/ლ. გლუკოზის მაღალი მაჩვენებელი მეტყველებს არასწორ კვებაზე და ჰორმონალურ დაავადებებზე. დაბალი მაჩვენებელი კი – შაქრიან დიაბეტზე.

სისხლში ცილების შემცველობის ნორმაა – 60-80 გრ/ლ. ღვიძლის და თირკმელების ფუნქციების გაუარესებით და უჭმელობით სისხლში ცილების მაჩვენებელი კლებულობს. მსგავსი შედეგები ხშირია მკაცრი დიეტების დაცვისას.

ბილირუბინი ღვიძლის მუშაობის ინდიკატორია და მისი რაოდენობა სისხლში არ უნდა აღემატებოდეს 20.5 მოლ/ლ-ს. ჰეპატიტის, ნაღველკენჭოვანი დაავადებებისა და ერითროციტების განადგურების შემთხვევაში მისი მაჩვენებელი მატულობს და ცდება ნორმის ზღვარს.

კრეატინინი პასუხისმგებელია თირკმელების მუშაობაზე. სისხლში მისი ნორმალური მაჩვენებელია 0,18 მოლ/ლ. კრეატინინის გადაჭარბებული რაოდენობა თირკმელების უკმარისობის მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული, მისი დაბალი შემცველობა კი სუსტი იმუნიტეტით.

მკურნალი მუნეგა

აბზინდა

აბზინდა მრავალწლიანი, ბალახოვანი მცენარეა რთულყვავილოვანთა ოჯახიდან. სიმაღლით 60-100 სმ, ძალზე მწარე, სპეციფიკური არომატით. მას რაჭაში სიმჭლის ბალახს უწოდებენ, თუშეთში – კატათკუდას.

აბზინდას ნიადაგში ვერტიკალურად ჩამავალი მთავარღერძა ფესვთა სისტემა აქვს. ფესვის ყელთან პირველივე წელს ამოდიან დამატებითი კვირტები, რომლებიც შემდეგ წელს ყლორტებს ამოიყრიან. ღერო სწორმდგომია, სუსტად გამოხატული წიბოებით, დატოტვილი ფოთლები და ღერო მოვერცხლისფრო-ნაცრისფერია, სქლადაა დაფარული მოკლე, აბრეშუმისებრი ბუსუსებით.

ღეროს ქვედა ნაწილში ხშირად უნაყოფო, მოკლე ყლორტები აქვს. გრძელყუნწიან ფესვთანური ფოთლები სამჯერ ფრთისებრგანკვეთილია. ღეროს შუა ნაწილის ფოთლები მოკლეყუნწიანია, ორჯერ ფრთისებდანაკვთული, ზედა ფოთლები სამნაკვთიანია ან მთლიანია.

ყვავილები წვრილია, ყვითელი ფერის, მილისებრი, შეკრებილი სფეროსებრ, თავდაქინდრულ კალათებად, 3 მმ-მდე დიამეტრის კალათაში. კალათები თავის მხრივ, ქმნიან რთულ საგველა ყვავილედს. ნაყოფი 1 მმ სიგრძის რუხი ფერის თესლია.

აბზინდა ყვავილობს ივნის-აგვისტოში, თესლი კი სექტემბერ-ოქტომბერში შემოდის.

იზრდება გზის პირებზე, საძოვრებზე, ბაღებსა და მინდვრებში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში.

აგროვებენ აბზინდას ფოთლებსა და აყვავებულ წვეროებს, ყვავილობის დაწყებამდე ან ყვავილობის დასაწყისში: აყვავებულ ნორჩ წვეროებს (გაუხეშებული ღეროების გარეშე) ჭრიან დანით. აშრობენ ჩრდილში (სხვენზე, ფარდულში) კარგი ვენტილაციის პირობებში ქაღალდზე თხელ ფენად გაშლილს, ხშირად აბრუნებენ. გამხმარი ნედლეულის შენახვა უმჯობესია ქაღალდის პარკებში; შენახვის ვადა 2 წელია.

აბზინდას ნედლეული შეიცავს ეთერზეთს 2%-მდე, რომლის შემადგენლობაში შედის ტუიოლი, ტუიონი, პინენი, კადინენი, ფელანდრენი და სხვა.

გარდა აღნიშნულისა, აბზინდას ბალახი შეიცავს ფლავონოიდებს, სათრიმლავ ნივთიერებებს, კაროტინს, ორგანულ მჟავებს, ასკორბინის მჟავას, ლაქტონებს. მწარე ნივთიერებები ანაბზინტინი და აბზინთინი განაპირობებენ მის ფარმაკოლოგიურ მოქმედებას.

ჯერ კიდევ ავიცენა აბზინდას ხმარობდა როგორც მადის მომგვრელ საშუალებას, ხოლო სალერნოს სკოლაში მას იყენებდნენ ზღვის ავადმყოფობის დროს. ხალხურ მედიცინაში

აბზინდას იყენებენ გაზების დაგროვების საწინააღმდეგოდ, ჭიების დასაყრელად, სისხლნაკლებობის დროს. მისი ნაყენი კარგი საშუალებაა პირის ღრუში გამოსასავლებად არასასიამოვნო სუნის დროს.

მედიცინაში აბზინდის პრეპარატებს იყენებენ საჭმლის მომნელებელი ორგანოების სტიმულირებისათვის, ნაღვლის, კუჭქვეშა ჯირკვლისა და კუჭის წვენის სეკრეციის გასაძლიერებლად.

უნდა გახსოვდეთ, რომ აბზინდას ხანგრძლივი და დიდი დოზებით გამოყენება არ შეიძლება, რადგან იწვევს პირღებინებას, მოწამვლას.

აბზინდას ნაყენის მოსამზადებლად აიღეთ 10 გრ (ორი სუფრის კოვზი) გამხმარი ბალახი, მოთავსეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით 200 მლ (1 ჩაის ჭიქა) ცხელი წყალი, დაახურეთ თავზე და მოათავსეთ მდუღარე წყლის აბაზანაში, ადუღეთ 15 წთ, შემდეგ გააჩერეთ 45 წთ, გადაწურეთ, დარჩენილი მასა გამოწურეთ. მიღებული ნაყენი შეავსეთ ანადუღარი წყლით საწყისი მოცულობის მიღებამდე (1 ჩაის ჭიქა). შეინახეთ გრილ ადგილას არა უმეტეს 2-3– დღეღამისა. მიიღეთ 1 სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში ჭამის წინ ნახევარი საათით ადრე.

მრგვალი ჭიების დასაყრელად იკეთებენ აბზინდას ნაყენის ოყნას.

შესაძლებელია აბზინდას ჩაის მომზადება: 1 ჩაის კოვზ დაქუცმაცებულ აბზინდას დაასხით 2 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, დააყენეთ 20 წთ, გადაწურეთ, მიიღეთ 1/2 ჭიქა 3-ჯერ დღეში, ნახევარი საათით ადრე ჭამის წინ.

ავიცენა მიუთითებდა, რომ აბზინდას ნახარშის ორთქლი აყუჩებს ყურის ტკივილს, ხოლო მისი დალევა ღვინის სმის წინ აუმჯობესებს ორგანიზმის საერთო მდგომარეობას, ნაბახუსევზე, იგი კარგ შედეგს იძლევა თვალების ანთების დროსაც. ღვიძლზე, კუჭზე გაკეთებული აბზინდის საფენების დადება ამცირებს ტკივილს ამ ორგანოებზე, ხოლო მისი წვენი ძმართან ერთად შველის სოკოთი და კონიოთი მოწამვლის შემთხვევაში.

ღიღილო

ჯერ კიდევ ძველ დროში ღიღილოსგან ამზადებდნენ ლურჯ და ცისფერ საღებავებს, ძმარს და სამკურნალოდაც ხმარობდნენ. ღიღილოს წყალს იყენებდნენ თვალების ანთებისას, ცრემლდენისას, სვამდნენ ცისტიტის, ხველების, ნერვული და კუჭ ნაწლავის დაავადების დროს, გულის ცემის აჩქარებისას, ღვიძლის ტკივილის დროს.

თანამედროვე მედიცინამ აღმოაჩინა, რომ ეს ლამაზი ყვავილი შეიცავს ფლავონიდ გლუკოზიდებს, ეთეროვან ზეთებს, მინერალებს. ლურჯი ღიღილო გამოიყენება როგორც შარდმდენი საშუალება, თირკმელებისა და შარდის ბუშტის დაავადებისას.

ღიღილოს ნაყენის რეცეპტი: 1 სუფრის კოვზი ღიღილოს დასხით 1 ჩაი ჭიქა მდუღარე წყალი, გააჩერეთ 1 საათი გაწურეთ და მიიღეთ 3-4-ჯერ დღეში.

ასტროპროგნოზი
22 ივნისისთვის

ფერძი – დიდი ხნის ოცნება გისრულდებათ. თქვენი აქტიურობის გამო გარშემომყოფთა სიმპათიას იწვევთ. **კურო** – პერსპექტიული დღეა. კოლეგებთან ურთიერთობა გიუმჯობესდებათ. გელით შეხვედრა, რომელიც დიდ სიხარულს გპირდებათ. **ტყუპები** – სანამ რამეს მოიმოქმედებდეთ, კარგად დაფიქრდით, სიტუაცია გულმოდგინედ შეისწავლეთ და გადაწყვეტილება ისე მიიღეთ. **კირჩხიბი** – იძულებული გახდებით, თქვენს გეგმებში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანოთ. საკუთარ თავზე ზედმეტ პასუხისმგებლობას იღებთ. **ლომი** – დღეს მთელ დროს პირადი პრობლემების მოგვარებას მოანდომებთ. მოსალოდნელი ცვლილებები სასიკეთო იქნება. ბედს მიენდეთ. **ქალწული** – თქვენი ცნობისმოყვარეობა და სიახლისადმი ინტერესი გარშემომყოფებმა შესაძლოა უტაქტობად აღიქვან. უსიამოვნო ინფორმაცია ხასიათს გაგიფუჭებთ. **სასწორი** – ემოციები აკონტროლეთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ოჯახის წევრებთან ურთიერთობა ჰარმონიულია. **ღრიანკალი** – რჩევისათვის მიმართეთ ადამიანს, რომელიც გმფარველობთ. ბედს თამამად მიენდეთ. მოინახულეთ დიდი ხნის უნახავი მეგობრები. მალე სასიკეთო ცვლილებები გელით. **მშვილდოსანი** – შემოქმედებითი პოტენციალი მზარდია. კარგი დღეა სამოგზაუროდ წასასვლელად, ფიზიკური დატვირთვისათვის. **თხის რქა** – გიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. კარგი იქნება, თუ გახვალთ ქალაქგარეთ, წაიმუშავებთ ბაღში ან ბოსტანში. **მერწყული** – ჰარმონიული დღეა. ისწრაფეთ იდეალურისკენ. ზებუნებრივი ძალები ყოველგვარი ხიფათისგან გიცავენ. **თევზები** – ნურაფერს დაგეგმავთ. ახალი საქმის დასაწყებად შეუფერებელი პერიოდია. ფინანსური პრობლემები ვალის გარეშე, საკუთარი ძალებით მოაგვარეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვორდი ბ



შვეულად: 1. ფაიფურის მწარმოებელი ბრიტანული ფირმა; 2. მამაკაცთა თავშეყრის ადგილი სოფლად; 3. ერთი და იგივე ქიმიური ელემენტის არსებობა სხვადასხვა მარტივი ნივთიერების სახით; 4. დაბალი რანგის დიპლომატი; 5. ასირიის ლეგენდარული დედოფალი; 10. დიდი სამგზავრო-სატრანსპორტო გემი; 11. სპორტის სათამაშო სახეობა; 12. კუთხე საქართველოში; 13. ფასიანი ქაღალდების კურსის დაწევა; 16. რაიმე საგნის, მოვლენის ძირითადი თვისებების დამახასიათებელი სიდიდე; 17. სამცხის მმართველთა საგვარეულო; 19. დედამიწის ამა თუ იმ წერტილის სიმაღლე ზღვის დონიდან; 21. საერთაშორისო სამეცნიერო კვლევის ცენტრი შვეიცარიაში; 23. შაქრით, ჩაით, ლიმონის წვენით შეზავებული ცხელი რომი.

თარაზულად: 6. ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ქართველი მოჭიდავე; 7. ჰაგიოგრაფიულ თხზულება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ავტორი; 8. ღვინის საბატონო გადასახადი ძველად საქართველოში; 9. თურქეთის პრეზიდენტი; 14. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი სომხეთში; 15. საერთაშორისო ხელშეკრულების შესავალი ნაწილი; 18. ლუდის სასმელი ჭურჭელი; 20. რაჭა-ლეჩხუმის ძველი სახელწოდება; 22. ეგვიპტელი ქრისტიანები; 24. მაღალმთიანი კურორტი აჭარაში; 25. ძველბერძენი ისტორიკოსი-გეოგრაფი; 26. იაპონური ელექტროტექნიკური კონცერნი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. პეჟო; 2. აია; 3. მაკიაველი; 4. ჩაქვი; 5. რენუარი; 8. კოპი; 9. ბაირონი; 10. ინჟინერი; 12. რონოდა; 13. ფეოლა; 15. ამირა.

თარაზულად: 1. პირანია; 6. მახარაძე; 7. ჟოკეი; 10. იტილი; 11. სპორა; 13. ფორდი; 14. შტაბი; 16. ოქრო; 17. ითხვისი; 18. ლეკალო.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. კრიკინა; 2. ალბორადა; 3. სტივიდორი; 4. ნანსენი; 5. ციცინათელა; 10. კახასა; 11. ერისიონი; 12. მესხეთი; 13. კორსიკა; 16. ჰართფილდი; 17. პოლონეზი; 19. ავლაბარი; 25. ნაიკი.

თარაზულად: 6. ტროგლოდიტი; 7. ლაკმუსი; 8. გიშერი; 9. სინოპეკი; 14. გორდონსი; 15. კუსტურიცა; 18. ტონგა; 20. კონკური; 22. ვანდომი; 24. მიოპია; 25.გლიპტიკა; 26. ჯაკუზი.

სამგლოვიარო განცხადებები

თენგიზ სოტკილავას

მოსაგონარი



არიან ადამიანები, რომელთაც თავისი გვარის, ერის სატკივარი უღელი ადგათ.

თენგიზ სოტკილავა თითქოს ამ ხვედრისთვის იყო გაჩენილი.

უფროსი ადამიანებისგან ხშირად მსმენია: „მიწა რომ მოგიხმობს, გინდა ყველაფერი მას ანაცვალო, ზეცა რომ დაგიძახებს, გინდა ყველაფერი მიატოვო“...

მას განსაკუთრებული სიყვარულით უყვარდა თავისი მამული... უკანასკნელ გზაზე გულზე დაყრილი ნაკურთხი მიწა მისთვის დაკარგულ სამშობლოს განასახიერებდა. წუხდა იმაზე, რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის დიდი ნაწილი მიტაცებული იყო ძალმომრე ქვეყნის მიერ. წუხდა ფუძე-საცხოვრისიდან გამოძევებული 300 ათასი ქართველის ბედზე. ქართველთმოძულე ფუნქციონერთაგან არც დევნა და შევიწროება დაჰკლებია მას და მისი მშობლების სამურზაყანოში ცნობილ ოჯახს.

თენგიზის მსგავსი ადამიანები განსაკუთრებულ სილამაზესა და ელფერს ანიჭებდნენ სიცოცხლეს. ჩვენ უნივერსიტეტის საუკეთესო სტუდენტური წლები გვაკავშირებდა. მასში ძველკოლხეთიდან, აიეტის დროინდელი კოლხეთიდან მობერილი სული ერწყმოდა დღევანდელობას. ის განასახიერებდა მეგრელი კაცის დიდ კულტურას, მაღალზნეობასა და კეთილშობილებას.

იგი იმ დაკარგული თაობის ერთ-ერთი წარმომადგენელთაგანია, რომელთა ნიჭს, ენერგიასა და გონებას სამშობლო ქვეყნისთვის მსახურება აღარ დააცალეს....

მამა-პაპათა ტრადიციული სარწმუნოების სიყვარულმა ახალი სუნთქვა გაუხსნა. ქრისტე-მაცხოვრის ჯვარი მისთვის იყო სულიერი მახვილი და მღვიძარება, რამეთუ მის ყოველ მოქმედებაში გადმოდიოდა მისი დიდი შინაგანი სითბო, ანათებდა მისი დიდი შინაგანი ადამიანობა.

სამწუხაროდ, მაგრამ ალბათ ძნელად წარმოსადგენია, რომ დღევანდელმა დრომ შეიძლება შვას მისნაირი ქართველი კაცი, მამულიშვილი.

ის იყო ყველგან და ყველასთან გაგზავნილი ფიქრი და ზრუნვა. საახლობლო თუ სამეგობრო წრეში არ მეგულება ადამიანი, რომელზეც ამ საოცარ კაცს არ ექნებოდა თავისი ამაგი.

არ არსებობდა სფერო, სადაც თავისი ყველასგან გამორჩეული აზრი არ ჰქონოდა. ფლობდა უზარმაზარ ინფორმაციას და მას არ განიხილავდა მხოლოდ ინფორმაციის დონეზე. იყო განათლებული კაცი, რომელსაც გონება არ გაუწვრთნია გულის საზიანოდ. მისი გული მოყვასისთვის საზვარაკოდ გამზადებული ხელუხლებელი და წმინდა იყო სიცოცხლის ბოლომდე. განსაკუთრებით ბავშვების სიყვარულში ნათდებოდა ეს სიწრფელე. ხშირად იტყოდა, მხოლოდ გულით წმინდასთანაა უფალიო.

წუხილიც და მოლხენაც სხვანაირი იცოდა. თავისი გვარის ნაკვალევზე მესტიაში მის მიერ წარმოთქმულმა სადღეგრძელომ ლექსიც კი შთამაგონა:

„ეს გაუმარჯოს, ვინც დახედავს ენგურის ტალღას,
შხარას მთებიდან ანაკლიამდე,
ვის სულშიც უკვე ტკივილები თოვლივით გალღვა,
ცხოვრებას ტვირთად ვინც არ მიათრევს.
ვინც წუთისოფელს ერკინება, აწყდება ახლაც,
დადის ჩვენში და აფრქვევს სინათლეს,
ეს გაუმარჯოს, ვინც დახედავს ენგურის ტალღას,
შხარას მთებიდან ანაკლიამდე!“

თავი იმით უნდა ვინუგეშოთ, რომ უფალში სიკვდილი არ არსებობს. უფალში მხოლოდ უკვდავებაა!

და დღეს, მისი ამქვეყნიდან იმქვეყნად გადასახლების მე-40 დღეს, მის უკვდავ სულს უფალი სამუდამოდ დაამკვიდრებს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ!

ერეკლე საღლიანი

მეუღლე თამარ დადუანი-აშორტია, შვილები კახა, ბაჩა აშორტიები, დები ნათელა, მზია აშორტიები, შვილიშვილები ზაურ, მამუკა, კახა, თამარ აშორტიები, დისშვილები მაია, ქეთევან, თამარ ქარდავები, სიძე ნუგზარ ქარდავა, რძლები ინდირა ვეზდენიძე, ნინო იოსელიანი, ახლო ნათესავები იუწყებიან უსაყვარლესი პიროვნების

ზაურ აშორტიას

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 21, 22 ივნისს, აეროპორტის დასახლება, კორპუსი 38, ბინა 17.

გამოსვენება: 23 ივნისს, 14 საათზე, აეროპორტის ეკლესიიდან.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა.

ვერა წიგნაძე ოპერის სკვერში დაკრძალეს

91 წლის ბალერინა ვერა წიგნაძე ოპერის სკვერში დაკრძალეს. მისი სამოქალაქო პანაშვიდი ოპერისა და ბალეტის თეატრის წითელ დარბაზში გაიმართა. რიგით მოქალაქეებს, მის კოლეგებსა და მოსწავლეებს შესაძლებლობა მიეცათ, ბალერინასთვის პატივი მიეგოთ და უკანასკნელ გზაზე გაეცილებინათ.

შარშან ვერა წიგნაძის 90 წლის იუბილე გრანდიოზული გალაკონცერტით აღინიშნა, რომელშიც მსოფლიოში მოღვაწე ცნობილმა მოცეკვავეებმა მიიღეს მონაწილეობა.

უხუცესი ბალერინა კულტურის მინისტრმა საბალეტო ხელოვნების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ხელოვნების ქურუმის წოდებით დააჯილდოვა.

ლადო გუდიაშვილის 120 წლის იუბილეს გამოფენა მიეძღვნება



გამოჩენილი ქართველი მხატვრის ლადო გუდიაშვილის 120 წლის იუბილე მთელი წლის განმავლობაში აღინიშნება.

ქართული თანამედროვე ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებლის იუბილესთან დაკავშირებით ლადო გუდიაშვილის ფონდი ოთხ საიუბილეო გამოფენას უწევს ორგანიზებას. პირველ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მხატვრის მიერ 40-იან წლებში შესრულებული ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები.

22 ივნისს ლადო გუდიაშვილის საგამოფენო დარბაზში მხატვრის იუბილესადმი მიძღვნილი რიგით მეორე გამოფენა გაიხსნება, სადაც წარმოდგენილი იქნება მის მიერ 1930-50 წლებში შესრულებული ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები. დამთვალიერებელს საშუალება ექნება, ესტუმროს ლადო გუდიაშვილის საგამოფენო დარბაზს 23 ივნისიდან 23 ოქტომბრის ჩათვლით და მხატვრის უნიკალური ნამუშევრები დაათვალიეროს.

მესამე საიუბილეო გამოფენა პირველ ნოემბერს გაიხსნება და 15 ნოემბრამდე გაგრძელდება. ამ ექსპოზიციაზე ლადო გუდიაშვილის გრაფიკული ნამუშევრები გამოიფინება.

მეოთხე გამოფენა კი, რომელიც პირველი დეკემბრიდან 30 დეკემბრის ჩათვლითაა დაგეგმილი, დამთვალიერებელს მხატვრის ბოლო პერიოდის ნამუშევრებს გააცნობს.

ზუმბა: „წითლები უნდა დამთავრდეთ!“

მუსიკოსი და მომღერალი ზაზა კორინთელი, იგივე ზუმბა, დიდი ხანია ამერიკაში წავიდა. ის შორეული აშშ-დან აფასებს საქართველოში ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებს და აცხადებს, რომ დღევანდელი ჯორჯია სირცხვილია...

ზუმბა:

– ვცდილობ, კორექტული ვიყო. ერეკლეს მერე... სახელმწიფოებრიობა... კითხვის ნიშანია, კი... მერე აქეთ 25 წელი სად გაქრა, რის ბრძოლებში?... ახლა კიდევ ნაციონალების 9 წელი, არამეზობელი ქვეყნის გაუთავებელი ექსპერიმენტები... ცოცხები, ბიძინა ბიძია, შეცდომები, ფული, არა ფული, ისა, ესაა...

ვისაც სამშობლო გიყვართ, გაერთიანდით... თუ არადა, საკუთარ თავს მიხედეთ და ამბიციებს მოუჭირეთ და პირადულად განვითარდით... ვინც დროს ჩამორჩით, უბრალოდ დაგერხათ...

მასონები, ელგებეტე და რაღაც სირობები არ მართავს, ძვირფასებოო... ერთი გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ... დღევანდელი ჯორჯია სირცხვილია...

მიყვარხართ... ან ვივარგოთ და სახელმწიფოებრიობა ან დავამთავროთ... ეგეც, ნოუ პრობლემ... ჩვენზე უკეთესი ცივილიზაციები დამთავრებულან...

პ.ს. წითლები უნდა დამთავრდეთ!

ქუთაისში თეატრალური ფესტივალი ლოცვით გაიხსნა

ქუთაისში ლადო მესხიშვილის თეატრში საერთაშორისო ფესტივალი „თეატრალური იმერეთი 2016“ ლოცვით გაიხსნა. ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა მეუფე კალისტრატემ ფესტივალის სტუმრებსა და დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა და გამოსვლა „მამაო ჩვენოს“ ერთობლივი ლოცვით დაასრულა.

თეატრმცოდნე ლაშა ჩხარტიშვილი, რომელიც ფესტივალის ჟიურის წევრია, აცხადებს, რომ ცალსახად ემიჯნება თეატრში ლოცვის რიტუალის იძულებით შესრულებას და მიაჩნია, რომ თეატრი არ არის ტაძარი და სალოცავი ადგილი. მას ახლა ფესტივალის ჟიურის დატოვება სამართლიანად არ მიაჩნია, თუმცა მომავალ წელს ფესტივალს, როგორც სტუმარი, ისე დაესწრება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ალასანიას პარტიის წევრთა ნაწილი „ქართულ ოცნებაში“ გადავიდა

პარტია თავისუფალი დემოკრატების აბაშის რაიონული ორგანიზაციის წევრთა ნაწილმა, მათ შორის ორგანიზაციის თავმჯდომარე თამაზ შოთაძემ პარტია დატოვეს და „ქართულ ოცნება – დემოკრატიულ საქართველოს“ შეუერთდნენ.

თამაზ შოთაძის განცხადებით, ალასანიას პარტიის აბაშის რაიონული ორგანიზაცია დაიშალა.

– ჩვენ, „თავისუფალი დემოკრატების“ აბაშის რაიონული ორგანიზაცია, ვიღებთ ამ გადაწყვეტილებას, იმიტომ რომ მიუღებელია „თავისუფალი დემოკრატების“ დღევანდელი ხედვა ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის, ამიტომაც ჩვენ, „თავისუფალი დემოკრატების“ აბაშის რაიონული ორგანიზაცია, ვტოვებთ „თავისუფალი დემოკრატების“ რაიონულ ორგანიზაციას და ვუერთდებით „ქართულ ოცნება – დემოკრატიულ საქართველოს“, ვინაიდან, ჩვენ ვხედავთ ჩვენი ქვეყნის მომავალს, ხვალინდელ დღეს, რასაც „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ ჰქვია, – განაცხადა შოთაძემ.

ნიუსპრესი

TV პროგრამა

ოთხშაბათი 22 ივნისი

07.30 დ/ფ "დიდებული სასახლეები" **08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.15** "მოამბე" **08.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ცოდვა და სირცხვილი**" **12.30** დ/ფ "ჯეიმის კერძები **30** წუთში" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტრ ფეტრინე**" **14.05** "XX საუუნე" **14.30** ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **15.00** "ევრო – **2016**" **16.45** "ეპოქის ფრაგმენტი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **18.00** "კომუნიკატორი" **19.25** ევრო-**2016.** გადაცემა **19.50 ფეხბურთი** ევრო **2016. 22.00** ევრო-**2016.** გადაცემა **22.50 ფეხბურთი** ევრო **2016. 01.00** ევრო-**2016.** გადაცემა **01.25** მხ/ფ "**ამერიკელი განგსტერი**" (დ.ვაშინგტონი)

08.00, 10.10, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.30** დ/ფ "კლიტ ისტვუდი-მოხალისე მსროლელი" **12.00** საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა **19.50 ფეხბურთი** – ევრო **2016: ისლანდია – ავსტრია 21.50** "მოამბე" (**5** ენაზე) **22.50 ფეხბურთი** – ევრო **2016: შვედეთი – ბელგია 00.50** "ნამდვილი დრო"

06.00, 14.40 სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.25** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ბავშვის ველი**" **11.20** სერ. "**დახურული სკოლა**" **12.30** დღის შოუ **17.35, 19.03** სერ. "**პაპარაცი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** სტუმრად იუმორინასთან **00.30** მხ/ფ "**ძიძა**" **02.40** მხ/ფ "**რა ხდებაპ**" **04.00** მხ/ფ "**კილიმანჯაროს თოვლიანი მთა**"

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**ცხოვრების გზები**" **19.45, 20.05** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **22.00** სერ. "**ხელოვნური სუნთქვა**" **23.00** ნანუკას შოუ **00.00** გააცინე და მოიგე **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **9.00, 19.30** სერ. "**ვინტაჟლისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**ჯარგი ცოლი**" **11.00, 2.40** სერ. "**გრეის ანატომია**" **13.00** სერ. "**ქვლები**" **15.00** შუადღე **17.30** ცოლები და ქმრები **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.20** არჩევნები **2012** დაიჯესტი **20.30 20.30 22.30** სერ. "**სამეფო კარის თავგადასავები**" **0.00** სერ. "**ჯოჯოხეთი ბორგლებზე**" **1.00** მხ/ფ

06.10 მუს.პაუზა **06.15** დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** დ/ფ "**13** ასურელი წმ. მამის ნამოღვაწარი" **11.15** ერთხელ ბავშვობაში **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **13.00** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "კატესტტემონიაძძ **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.20** ღვთის სახლი **16.00** კონცერტი **17.10** დ/ფ "ლომისობა" **17.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**ნინო**" **20.40** ძილი ნებისა **21.00** საეკლესიო კალენდარი **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.20** ივერიის ეკლესია (ღვთის სახლი) **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დ/ფ **00.25** ისტორიის დღიური **01.00** "შუადღე ერთსულოვნებაზე"

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 0.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ფესტიკულაციით) **8.00** სერ. "**ბერძენი ქალი**" **9.25** ევროპის ჩემპიონატის დღიურები **10.05** სერ. "**ბაბიანა**" **11.05** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30** სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" **13.00, 14.05, 1.00** სერ. "**გულს ვერ უბრძანებ**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.05, 17.05, 2.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05** სერ. "**ქალია ეფიმი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**სახიფათო ქალი**" **21.40** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.35** სერ. "**უსხო შინაურებს შორის**" **23.30** სერ. "**ჯუნა**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

22 ივნისისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.1805	ევრო — 2.4694
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1853	100 რუსული რუბლი — 3.4032

ამინდის პროგნოზი 22 ივნისისთვის

24 ივნისიდან

გიორგი ლეონიძე

ნატვრის ხე

მაგარი ყდა,
252 ილუსტრირებული
ფერადი გვერდი

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

21 ივნისიდან

ალექსანდრე დიუმა

სამი მუშკეტერი

მთელი რომანი ერთ წიგნში!

ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი

ლესტერმა ესპანელი მცველი იყიდა

ინგლისის ჩემპიონი ლესტერი მომავალი სეზონისთვის სერიოზულად ემზადება. მოგეხსენებათ, რომ ლესტერი ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს, ამიტომ კლაუდიო რანიერის გუნდი შემადგენლობის გაძლიერებას აპირებს.

ცნობილი გახდა, რომ ლესტერმა ესპანელი მცველი ლუის ერნანდესი შეიძინა, რომელიც 2012 წლიდან ხიხონის სპორტინგის ღირსებას იცავდა. ერნანდესი მადრიდის რეალის აღზრდილია, მაგრამ პირველ გუნდში დამკვიდრება ვერ შეძლო და სამეფო გუნდი მალე დატოვა.

ლესტერი სატრანსფერო ბაზარზე აქტიური იქნება და კიდევ რამდენიმე ფეხბურთელს დაიმატებს. ერთ-ერთი მათგანი უოტფორდის ფორვარდი ტროი დინია, რომლითაც ინგლისის ჩემპიონები სერიოზულად არიან დაინტერესებულები.

ზლატანი ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებში აღარ ითამაშებს

შვედეთის ნაკრების კაპიტანმა და ლიდერმა ზლატან იბრაჰიმოვიჩმა განაცხადა, რომ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებში აღარ ითამაშებს. ამის მიზეზად ზლატანმა თავისი ასაკი დაასახელა და თქვა, რომ ამაყობს ნაკრებში კარიერით და ყოველთვის დაეხმარება შვედებს მომავალში.

შვედეთის ნაკრები დღეს ბელგიელებს დაუპირისპირდება და ზლატანის გუნდს აუცილებლად მოგება ესაჭიროება.

ადვილი შესაძლებელია, რომ ბელგიის წინააღმდეგ შეხვედრა ზლატანის სანაკრებო კარიერაში უკანასკნელი აღმოჩნდეს.

იუმორი

სამსახურში მისულ კაცს უფროსი გაკვირვებული ეკითხება:

– კი მაგრამ, სამსახურში რატომ მოხვედი, დღეს ხომ შენი სიდედრის გასვენებაა?!

– ჯერ საქმე, მერე სიამოვნება, უფროსო.

•••

დედა შვილს ეუბნება:

– წადი და სახე დაიბანე.

ცოტა ხნის შემდეგ ბავშვის ხმა ესმის:

– დედა, ყურები სახეს ეკუთვნის თუ უკვე კისერია?

•••

დილით ოსი ბავშვს აღვიძებს და ეუბნება:

– ადე, სვილო, წადი სკოლასი.

ბავშვი პასუხობს:

– ჯელ ძალიან ადლეა.

– ადლე წახვალ, ადლე მოხვალ...

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– გუშინ გასვენებაში რომ იყავი, როგორ ჩაიარა დაკრძალვამ?

– ბიჭო, მიცვალებულს ისეთი ძვირფასი თაიგული მიართვეს, რომ მიცვალებული თავად შეეგება.

•••

ღამე ცოლი ქმარს აღვიძებს:

– კაცო, გაიღვიძე, ქურდია შემოსული სახლში!

– მერე, რას შვრება?

– კატლეტები რომ მოგიმზადე, იმას ჭამს.

– დაიძინე, დაიძინე, – ამშვიდებს ქმარი, – გათენდება და გავასვენებთ.

•••

ოჯახის უფროსი გარდაიცვალა და გასვენებაში ოჯახის წევრები ტირიან:

– მამა მომიკითხე, ბებია მომიკითხე, სანდრო არ დაგავიწყდეს...

ერთ-ერთმა შორებელმა ნათესავმა უსმინა, უსმინა და ბოლოს კითხულობს:

– აი, ბიძიკო, მკვდარია თუ ფოსტალიონი?

•••

ხანდაზმული ცოლ-ქმარი ზღვაზე ისვენებს. პლაჟზე წვანან. კაცს თვალი ახალგაზრდა ქალებისკენ გაურბის. ცოლი შენიშნავს და ეუბნება:

– მეხი კი დაგაყარე მაგ თავზედა.

– რა გინდა ქალო?

– დაბერდი და თვალი მაინც ახალგაზრდა გოგოებისკენ გაგირბის?!

– ქალო, ბებერ ხარს, რა, თოთო ბალახი კუჭს უშლის?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

23 ივნისიდან

კაცი, რომელიც იცინის

ვიქტორ ჰიუგო

პირველი ნაწილი



მაგარი ყდა, 358 გვერდი

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

22 ივნისიდან

ზურაბ ბატიაშვილი (დარუჯანაშვილი)

ტრაპიზონის იმპერიის დაარსება

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

მადრიდის ატლეტიკოს ობამეანგი უნდა

მადრიდის ატლეტიკო ახალი ფორვარდის ძიებაშია, რადგან სიმეონემ შემადგენლობის გაძლიერება მოითხოვა. მადრიდელები რამდენიმე ვარიანტს განიხილავენ და ერთ-ერთი მათგანი დორტმუნდის ბორუსიის ფორვარდი პიერ ემერიკ ობამეანგია, რომელსაც შარშან ძალიან კარგი სეზონი ჰქონდა.

ატლეტიკოს ხელმძღვანელობა უკვე დაუკავშირდა ბორუსიის წარმომადგენლებს და მალე ოფიციალური წინადადებითაც მიმართავს.

სატრანსფერო თანხა ჯერჯერობით ცნობილი არ არის, მაგრამ ცხადია, რომ გერმანელები ობამეანგს იაფად არ დათმობენ. თვითონ ფეხბურთელმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ესპანეთში თამაში სურს.

დვალიშვილი ვისლაში გადადის

ქართველი ლეგიონერი ლადო დვალიშვილი, რომელიც პოლონურ გუნდ პოგონში თამაშობდა, ამ კლუბიდან მიდის და კარიერას ისევ პოლონეთში გააგრძელებს. დვალიშვილით ვისლაა დაინტერესებული და ლადო უახლოეს დღეებში ამ გუნდის წევრი უნდა გახდეს.

პოგონის შემადგენლობაში დვალიშვილმა 28 შეხვედრა ჩაატარა და 3 გოლის გატანა შეძლო. გარდა ამისა, ქართველი ფორვარდის ანგარიშზე 5 საგოლე გადაცემაა. დვალიშვილს საქართველოს ნაკრებში ხშირად იძახებენ და მან ესპანეთთან ტრიუმფალურ შეხვედრაშიც მიიღო მონაწილეობა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ტოკიოს ძველი სახელწოდება; 2. მოლაპარაკე თუთიყუში; 3. პანიკური ჭორების გამავრცელებელი ადამიანი; 4. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 5. ქართულ ბალეტ „დემონის“ მუსიკის ავტორი; 8. გემის მზარეული; 9. მე-16 საუკუნის გერმანელი მხატვარი; 10. ორგანიზმის მემკვიდრეობითობის შემსწავლელი ბიოლოგიის ნაწილი; 12. თანამედროვე ქართველი მოქანდაკე; 13. ბოსტნეული მცენარე; 15. ფრანგი ქართველოლოგი, „ქართლის ცხოვრების“ ფრანგულად მთარგმნელი.

თარაზულად: 1. გონებაჩლუნგობის, ჭკუასუსტობის უმაღლესი ხარისხი; 6. ფილტვების დაავადება; 7. ჩეხეთის ფეხბურთელთა გუნდი; 10. სახელმწიფოს სიმბოლო; 11. სახალხო მთქმელი შუა აზიაში; 13. ტბა ბათუმში; 14. ფრანგი მწერალი, „გარგანტუა და პანტაგრუელის“ ავტორი; 16. ქართული ლუდი; 17. გამკვრივებული თევზის ნარჩენებისგან დამზადებული სამკურნალო პრეპარატი; 18. „ფორმულა-1“-ში მონაწილე გერმანელი ავტომრბოლელი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა